# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№20 (10.125)

15—22 ივნისი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# „ეს მანტია ყოველთვის თვალსაჩინო ადგილას გვექნება“...

**„კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“ კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი ალადაშვილის ინიციატივით, 2024 წლის წარჩინებული მოსწავლეების ტრადიციად ქცეული დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა.**

კახეთის წარჩინებული კურსდამთავრებულების დაჯილდოების ცერემონიაში კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებთან, პლატონ კალმახელიძესთან და ლევან ლილუაშვილთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს და აუდიტორიას სიტყვით მიმართეს მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელმა პირებმა.

გიორგი ალადაშვილის ინიციატივით, წახალისების მიზნით, კახეთის თითოეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ოქროსმედალოსან და ვერცხლისმედალოსან ახალგაზრდებს ყოველწლიურად, ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცემათ.

დაჯილდოების ცერემონია კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი ალადაშვილის ინიციატივით, 2022 წელს პირველად გაიმართა და ტრადიციულ ხასიათს ატარებს.

2024 წელს, რეგიონის მასშტაბით 426 წარჩინებული, მედალოსანი მოსწავლე მიიღებს ჯილდოს.

ღონისძიების მიზანს ახალგაზრდა თაობისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლისადმი მოტივაციისა და სტიმულის ამაღლება, განათლებული ახალგაზრდა თაობის მიერ მიღწეული წარმატებული შედეგების პოპულარიზაცია წარმოადგენს.“

ჩვენი მუნიციპალიტეტიდან წარდგენილი 37 მოსწავლის ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნულ ცერემონიაში მივიღე მონაწილეობა. მადლობა პირველ რიგში ჩემს შვილს,გიორგი გველუკაშვილს, რომ ეს პატივი მერგო წილად და შემდეგ პირველი საჯარო სკოლის თითოეულ პედაგოგს და დირექტორს-ეთერ ოთარაშვილს, ჩვენი შვილების განათლებასა და სწორ, სრულფასოვან ადამიანებად აღზრდაში შეტანილი წვლილისთვის.

მართლაც საინტერესო და ემოციურად დატვირთული დღე იყო 12 ივნისი თითოეული წარჩინებული კურსდამთავრებულისთვის. დგება მომენტი, როდესაც კიდევ ერთხელ აცნობიერებ, თუ რამხელა პასუხისმგებლობა გაკისრია, როგორც მოქალაქეს პედაგოგების, ოჯახის და ერის წინაშე, რათა გაამართლო ის იმედები, რაც დაგეკისრა როგორც წარჩინებულ კურსდამთავრებულს. სტატუსი, რომელიც თვითდაჯერებულობას გმატებს, პასუხისმგებლობასაც გიათკეცებს. ძნელია, ამის მერე რაღაც გამოტოვო, რაღაც ზერელედ გააკეთო, რაღაც უპასუხოდ დატოვო-პირიქით, ყველაფერი ზედმიწევნით სწორად და ზუსტად უნდა შეასრულო. ამას ის თორმეტწლიანი შრომა და შრომის შედეგი-მედალოსნობა გაკისრებს! ჩვენ შევეცადეთ გავსაუბრებოდით დაჯილდოვებულ წარჩინებულ კურსდამთავრებულებს შემდეგი შეკითხვით:



არხილოსკალოს საჯარო სკოლა

**თუ რას ნიშნავს მედალოსნობა მათთვის და რას აძლევთ ეს სტატუსი,სამომავლოდ ანიჭებთ თუ არა როგორც მეტ პასუხისმგებლობას, ასევე მეტ თვითდაჯერებულობას?**

**ლიკა ბენაშვილი, არხილოსკალოს საჯარო სკოლა**-პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ გუშინდელი დღე ნამდვილად იყო დასამახსოვრებელი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მოლოდინები ვერ გაამართლა. რაც შეეხება ოქროს მედალოსნის სტატუსს, ჩემთვის არანაირ პრივილეგიას არ წარმოადგენს, ის მხოლოდ ასოცირდება 12 წლიან შრომის შედეგთან, თუმცა ეს სტატუსი, ცხადია, გვაკისრებს გარკვეულ პასუხისმგებლობას. მაგალითისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი ქულების აღებას, გრანტების მოპოვებასა და ქვეყნის ტოპ უნივერსიტეტებში ჩაბარებას მოელიან სამომავლოდ ჩვენგან.



პირველი საჯარო სკოლა

**საბა კაპანაძე,** ***არხილოსკალოს საჯარო სკოლა***: „ჩემთვის ოქროს მედალოსნობა დაუღალავი შრომისა და სწავლის დაფასებაა. რა თქმა უნდა, ეს თავდაჯერებულობას მმატებს, მაგრამ, ამასთან ერთად, ვაცნობიერებ, რომ მეტი პასუხიმგებლობაც მაკისრია“.

**ტატო ზაქაიძე,** ***არხილოსკალო***: „ჩემთვის გუშინდელი დღე ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი და დაუვიწყარი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. არასოდეს დამავიწყდება ის ემოცია,რომელიც ამ საზეიმო ღონისძიებაზე ყოფნისას განვიცადე. ჩემთვის,სკოლის ოქროს მედალზე დამთავრება, პირველ რიგში მადლიერების,შემდეგ კი პასუხისმგებლობის გრძნობასთან არის დაკავშირებული. მადლობას ვუხდი არხილოსკალოს საჯარო სკოლის პედაგოგებს. მათ დიდი შრომა გასწიეს ჩემს წარმატების მიღწევაში. ასევე მადლობა ჩემს ოჯახს და მეგობრებს. ოქროსმედალოსნობა დიდ პასუხისმგებლობასთანაცაა დაკავშირებული. პასუხისმგებლობა:სკოლის,პედაგოგების,ოჯახის და რაც მთავარია, საკუთარი ქვეყნის წინაშე. თავდაჯერებულობა, რომელიც მედალმა შემძინა,ა უცილებლად დამეხმარება მომავალში წარმატებით გავაგრძელო სწავლა, დავეუფლო პროფესიას და ღირსეულად ვემსახურო საკუთარ სამშობლოს“.

**ლანა მენთეშაშვილი,** ***მეორე საჯარო სკოლა:*** „გუშინდელი დღე დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის, ამასთანავე თავდაჯერებულობაც, რომ ეს შევძელი ,მარტივი არაა ამ გზის გავლა, თუმცა ამად ღირდა. გარდა ამისა, ჩემს გვერდით დავინახე უამრავი მედალოსანი, რამაც სიხარული გამიასმაგა. ჩვენს ქვეყანას საუკეთესო მომავალი ჰყავს და მე ეს ნათლად დავინახე. პირადად მე ვთვლი, რომ ეს მანტია უნდა გახდეს ჩემს გარდერობში თვალსაჩინო საკიდზე, რადგან მისი დანახვა შემახსენებს რომ არ მაქვს მოდუნების უფლება“.

**ნატალი მეხრიშვილი,** ***ხორნაბუჯის საჯარო სკოლა***: „რა ბედნიერებაა,იყო მრავალთაგან გამორჩეული! სწორედ ეს განცდა დამეუფლა,როდესაც საზეიმო ვითარებაში გადმომცეს ოქროს მედლის სერთიფიკატი სკოლის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით. ვიცი, რომ მედალოსნობა გარკვეულ პასუხისმგებლობას მანიჭებს ჩემი სკოლისა და აღმზრდელ-პედაგოგების წინაშე. ამიტომაც თავს არ დავზოგავ, რომ მათი იმედები გავამართლო. ოქროს მედალმა მაპოვნინა ჩემი ძლიერი მხარე, მომანიჭა თავდაჯერებულობა,რითაც,უპირველეს ყოვლისა, იზომება ადამიანის ღირსება. ვარ უზომოდ ბედნიერი, მიზანსწრაფული და მოტივირებული.ვ ნახოთ, რას მოგვიტანს თითოეულ ჩვენგანს ეროვნული გამოცდები. ვფიქრობ, წარმატებით ჩავაბარებ და დამსახურებულად მოვიპოვებ სტუდენტის სტატუსს. წინ ნათელი მომავალია“.



საპატრიარქოს სკოლა

**მარიამ ხაჩიძე,** ***ზემო ქედი***: „ვერცხლის მედალი ავიღე, თუმცა ესეც დიდი სტიმულია ჩემთვის, რომ უფრო მეტი გავაკეთო სამომავლოდ და მეტს მივაღწიო. მედალმა საკუთარი თავის რწმენაც შემმატა, რადგან როცა საკუთარი შრომის შედეგს ვხედავ, ვრწმუნდები, რომ მეტის



თეკლა პოპიაშვილი

გაკეთება შემიძლია. ვიაზრებ, რომ შრომა ყოველთვის ფასდება, ხოლო ცოდნა არ იკარგება. გუშინდელმა დღემაც ნამდვილად დიდი ემოცია დამიტოვა, ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი დღე იყო ჩემთვის, რომელსაც ყოველთვის ღიმილითა და სითბოთი გავიხსენებ“.

**შოთა ილურიძე,** ***ზემო ქედი***: „ოქროს მედალოსნობა ჩემთვის ცხოვრების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის წარმატებულად გადალახვას ნიშნავს და ეს წოდება უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს, ვიდრე თავდაჯერებულობას, რადგან იყო მედალოსანი, ნიშნავს-იყო იმედი ქვეყნის ნათელი მომავლისა. „მამული, ენა, სარწმუნოება“ კი ზუსტად ის ცნებებია, რომელთა პატივისცემაც ყველა ღირსეულ ქართველს გვმართებს და მიხარია, რომ მედალოსნების დაჯილდოებისას კიდევ ერთხელ შეგვახსენეს ყოველივე ეს“.

**მილენა კასიანოვა,** ***პირველი საჯარო სკოლა***: „გუშინდელი დღე ჩემთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი და ემოციური იყო, ვინაიდან 12 წლიანი შრომის და გარჯის შემდეგ მივაღწიე იმ მიზნამდე, რომელიც რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პირველივე კლასიდან მქონდა დასახული. ეს სტატუსი სამომავლოდ, როგორც თავდაჯერებულებას ასევე პასუხისმგებლობას მმატებს. ჩემი აზრით, ოქროს მედალი ჯილდოზე და მოტივაციაზე მეტია, რადგან განათლება არის ისეთი მიმართულება, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია. ის ფასდაუდებელია. მომავალ თაობას კი ვურჩევ, რომ ისწრაფონ მხოლოდ და მხოლოდ სწავლისთვის, რადგან ბავშვი, რომელიც განათლების გარეშე დარჩება, მას არ ექნება თვითგანვითარების, თვითრეალიზაციის და თვითპრეზენტირების შესაძლებლობები“.

**გიორგი ვაირადიანი,** ***პირველი საჯარო სკოლა***: „ეს დღე იყო ჩემთვის დიდი მიღწევა. ამ მიღწევით უფრო თავდაჯერებული გავხდი და რა თქმა უნდა მედალოსნობა ჩემთვის არის სასიხარულო და სასიამოვნო, რადგან ეს არის ერთგვარი სიმბოლო იმისა, რომ 12 წლის განმავლობაში სწავლაში ჩადებული შრომა დაფასდა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, თავდაჯერებულობას მმატებს, თუმცა, ამასთანავე მაგრძნობინებს დიდ პასუხისმგებლობას, რადგან გადავდივარ ცხოვრების ახალ ეტაპზე და უფრო დიდ სირთულეებთან მომიწევს შეჭიდება. მიუხედავად ამისა, ჩემთვის ეს დღე მოტივაციის მომცემია და მიბიძგებს უფრო დიდი წარმატებისკენ.მედალოსანს მე ახლა უფრო მეტი პასუხისმგებლობა მმართებს ეს მედალი შეიძლება სხვისთვის არაფერი იყოს, მაგრამ ჩემთვის ეს ბევრს ნიშნავს“.

**ანა ფიროსმანაშვილი,** ***პირველი საჯარო სკოლა***: „ჩემთვის პირადად გუშინდელი დღე ძალიან ამაღელვებელი და სასიხარულო იყო, რადგან სათანადოდ დაგვიფასდა შრომა. ოქროს მედალოსნის სტატუსი მე მმატებს როგორც თავდაჯერებულობას, ისე, რასაკვირველია, მეტ პასუხისმგებლობასაც. ვფიქრობ, ეს დამეხმარება, რომ მომავალში უფრო მეტი მოტივაციითა და შემართებით შევძლო დასახული მიზნის მიღწევა. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოვუწოდო სკოლის მოსწავლეებს, რომ არ შეუშინდნენ სირთულეებს და ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ თავიანთი მაქსიმუმი აჩვენონ. მართალია, „სწავლის ძირი მწარე არის“, თუმცა მჯერა, რომ კენწეროში აუცილებლად გაგვიტკბილდება!“.

**თეკლა პოპიაშვილი,** ***პირველი საჯარო სკოლა***: „ყველაზე საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი თორმეტწლიანი სწავლის დასრულების შემდეგ ცოდნის დაფასება ყველაზე დიდი მოტივაციაა მოსწავლისთვის.

*/გაგრძელება გვ. 6/*



ანი ფიროსმანაშვილი

# სამუსიკო სკოლა - კეთილშობილ ბავშვთა სასწავლებელი

***13 ივნისს, დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში, გაიმართა ღია აკადემიური კონცერტი, სადაც სამუსიკო სკოლის მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი იყო საფორტეპიანო და სავიოლინო, ასევე საგუნდო ნომრები. მოსწავლეებმა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს მონაწილეობა ღია კონცერტში და იქ მისულ საზოგადოებას შესთავაზეს მსოფლიოს გამოჩენილი კომპოზიტორების ყველასთვის საყვარელი ნაწარმოებები. მოსწავლეებთან ერთად კონცერტში აქტიურად მონაწილეობდნენ მათი პედაგოგები, კონცერტმეისტერები: თამარ თამაზაშვილი და ნინო ნიკვაშვილი.***

კონცერტის მიმდინარეობისას მცირე პაუზა ითხოვა პედაგოგმა მარიამ კიკილაშვილმა, რომელმაც სასიამოვნო ინფორმაცია მიაწოდა იქ მყოფ საზოგადოებას: „ძალიან გახარებული ვარ და არ შემიძლია, ეს ინფორმაცია თქვენც არ გაგიზიაროთ. ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებული ნიკა პაპაშვილი აბარებს კონსერვატორიაში. დღეს მას ჰქონდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცდა. რამდენიმე წუთის წინ მან დამირეკა და მაცნობა, რომ მაღალი ქულა მიიღო. ძალიან აჟიტირებული ვარ და ბედნიერი. იმედია, სხვა გამოცდებსაც წარმატებით გაართმევს თავს ნიკა და სტუდენტის უფლებას მოიპოვებს“.

**თამარ თამაზაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი**: „დიდი მადლობა უნდა გადაგიხადოთ ყველას დღევანდელი დღისათვის, ამ მშვენიერი ზეიმისათვის. მიხარია, რომ პანდემიის დროს გაჩერებული სამუსიკო სკოლა ახმაურდა და ასეთი დატვირთული აღმოჩნდა ღონისძიებებით. გილოცავთ ყველას - პედაგოგებს, ბავშვებს, რომლებმაც ამხელა შრომა ჩადეს, რათა ეს ღონისძიება გამოსულიყო ასეთი შთამბეჭდავი და მაღალი დონის. მიხარია, რომ წლევანდელი წელი ასეთი უხვმოსავლიანი იყო - იმდენი ნაწარმოები შეისწავლეს ბავშვებმა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამუსიკო სკოლამ თავისი ფუნქცია გადაჭარბებით შეასრულა. დიდი მადლობა სკოლის დირექციას, ადმინისტრაციას და მოსწავლეთა მშობლებს, რომლებიც სკოლის პედაგოგებს ხელს უწყობდნენ მათი შვილების მუსიკალური განათლების შეუფერხებლად მიღებაში“.

**მამა გიორგი (ჯინაშვილი)**: „გილოცავთ ყველას დღევანდელ დღეს-ამაღლების დღესასწაულს. ვულოცავ პედაგოგებს, ბავშვებს, მშობლებს ამ საღამოს წარმატებით ჩატარებას და შემდგომ წინსვლას ვუსურვებ მათ. ხელოვნება სულიერებისთვის მნიშვნელოვანი საზრდოა. მუდამ ყოფილიყავით ბავშვების სულიერი საზრდოს ავანგარდში“.



„ჩვენი სკოლა მაღალი დონის სკოლაა და მართლაც კარგი პედაგოგიური კოლექტივით გამოირჩევა. ამას ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე ვამბობ. წელან მარიამმა ნიკა პაპაშვილის წარმატების შესახებ



გვამცნო. მისი პირველი მასწავლებელი იყო დალი ხუციშვილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ნიკას მუსიკალურ განვითარებაში. მარიამისთანა დახვეწილი, ნიჭიერი და გემოვნებიანი პედაგოგი ხომ მართლაც იშვიათობაა. ყველამ იცის, რომ სწორედ მარიამ კიკილაშვილის ინიციატივისა და მერიის ხელშეწყობის შედეგია ჩვენს სკოლაში 7-11 კლასის დამატება, სადაც სწავლას განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის მქონე ბავშვები აგრძელებენ. ბევრი მათგანი სწორედ აქ ვითარდება და იხვეწება პროფესიული კუთხით.

სულ ვამბობ ხოლმე, რომ ეს არ არის მხოლოდ სამუსიკო სკოლა, არამედ ეს არის კეთილშობილ ბავშვთა სასწავლებელი, სადაც ხელოვნებასთან ერთად ისინი ეზიარებიან სიკეთეს და მაღალ მატერიებს. მუსიკა ბავშვებს სხვა საგნების სწავლაშიც ეხმარება, რადგან ის ავითარებს ნებისყოფას და პასუხისმგებლობის გრძნობას.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თამილა ნადირაშვილს მრავალწლიანი როგორც პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, ასევე კონცერტმეისტერობისთვის.

ვამაყობთ, რომ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები-მალვინა ისმაილოვა და ანა ლოლაშვილი სწავლას კონსერვატორიაში აგრძელებენ. არ შემიძლია არ აღვნიშნო თამარ კიკილაშვილის მაღალი პროფესიონალიზმი. სწორედ ამისი დამსახურებაა, რომ ვიოლინოს განყოფილებაზე სწავლის მსურველთა რიცხვმა საგრძნობლად მოიმატა.

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ყველას შევახსენებ, რომ ხელოვნების სკოლაში მოსწვლეთა მიღება წარმოებს მხოლოდ 1 ოქტომბრამდე. გაითვალისწინეთ და იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია!“ - აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას **დალი ელისაშვილმა**.

სასიხარულოა, რომ წლის განმავლობაში ღონისძიებეზე მიღებულმა შთაბეჭდილებებმა VII კლასელ მარიამ ჯინაშვილს სურვილი გაუჩინა, სწავლა გააგრძელოს VIII კლასში ვიოლინოს განხრით.

**ხელოვნების სკოლის დირექტორმა დალი ელისაშვილმა კონცერტის დასასრულს მადლობა გადაუხადა პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს, დამსწრე საზოგადოებას კონცერტის წარმატებით ჩატარებისთვის და პედაგოგებსა და მოსწავლეებს მადლობის სიგელები გადასცა. სიგელებით დაჯილდოვდა განყოფილების უფროსი ლია ხაჩიაშვილი, კორდინატორი მარიამ კიკილაშვილი. პედაგოგები: თამარ კიკილაშვილი, ნინო ალადაშვილი, მარიკა მგელიაშვილი და მოსწავლეები თამარ საყვარელაშვილი, ლუკა ყაჭაშვილი, მარიამ ჯინაშვილი და თეკლა წიკლაური.**

**ინგა შიოლაშვილი**

# მირზაანში ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი იწყება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში მდებარე ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის დღევანდელი მდგომარეობა თანამედროვე სამუზეუმო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, კერძოდ, საექსპოზიციო სივრცეში ვერ ხერხდება კლიმატკონტროლისა და ტენიანობის რეჟიმის დაცვა, მუზეუმს არ გააჩნია სათანადოდ მოწყობილი ფონდსაცავები და ექსპოზიცია არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. მუზეუმის სრულფასოვნად ფუნქციონირების, კოლექციების დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელია შენობის თანამედროვე საინჟინრო-ტექნიკური სისტემებითა და დანადგარებით აღჭურვა.

დაგეგმილი სამუშაოები ითვალისწინებს გათბობა-გაგრილების, ვენტილაცია-კონდიცირების, წყალმომარაგება-კანალიზაციისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მონტაჟს. გარდა ამისა, მოწესრიგდება შენობის შიდა ელექტროქსელი და გაკეთდება გარე განათება.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „დუბექსი“ შეასრულებს. მუზეუმის საინჟინრო კომუნიკაციების მოსაწყობად სააგენტოს მიერ გამოყოფილია 2 242 800 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ეტაპის სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2023-2024 წელს სამჯერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, რომლებიც არ შედგა.

ინფორმაციისთვის: მუზეუმისა და მის ტერიტორიაზე არსებული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები ეტაპობრივად მიმდინარეობს. 2021-2022 წელს განახლდა მუზეუმის სარდაფის სართული, მეორე სართულის ფონდსაცავი, შენობის გარშემო ტერასა, პარაპეტი და კიბე. ასევე, მოეწყო ავტოსადგომი. აღნიშნული სამუშაოები დაფინანსდა სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტით-483 820 ლარით.

ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი განთავსებულია 1979 წელს აგებულ შენობაში. აქ დაცულია 11 000-ზე მეტი ექსპონატი. მათ შორის არის ნ. ფიროსმანაშვილის უნიკალური ფერწერული ტილოები, XX საუკუნის ქართველ მხატვართა ნამუშევრები, ფარდაგები, ეთნოგრაფიული კოლექცია, ხისა და კერამიკის ნიმუშები.



# დაგესვლის ორი შემთხვევა დედოფლისწყაროში

**დაგესვლის ორი შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. სოფელ სამთაწყაროში გველმა ორი მამაკაცი დაკბინა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, არცერთი დაგესლილი ადგილობრივი არ არის.**

ტემპერატურის მატებასთან ერთად ქვეწარმავლების მომრავლებაც შეინიშნება. ზემო ქედიდან, სამთაწყაროდან, ფიროსმანიდან და საბათლოდან ადგილობრივები გაზეთი „შირაქს“ ატყობინებენ, რომ გველები დასახლებულ პუნქტებშიც ფიქსირდება. პრობლემაზე წუხან ქალაქის მაცხოვრებლებიც. შირაქის გზაზე კი ყოველი გავლისას რამდენიმე მკვდარ გველს ყოველდღე შენიშნავთ. გველი შენიშნეს სოფელ სამრეკლოში, ტარიბნის გადასახვევთან მდებარე „გალფის“ ბენზინგასამართი სადგურის შენობაში და ერთ-ერთი სკოლის ეზოში.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი წლევანდელ სეზონზე დაგესვლის ორ შემთხვევას ადასტურებს. დედოფლისწყაროს საავადმყოფოში კი ამბობენ, რომ ორივე შემთხვევაში ოპერატიულად მოხერხდა დაგესლილი ადამიანის ვაქცინაცია, გართულებები არ დაფიქსირებულა და ისინი დროულად გაეწერნენ საავადმყოფოდან. სპეციალისტები მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებენ და ქვეწარმავლებთან საბრძოლველად პრევენციული ზომების გატარებას ურჩევენ.

**ლალი ალადაშვილი *(დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგი):*** „ახლა ისეთი სეზონია დედოფლისწყაროში ქვეწარმავლების სიმრავლე შეინიშნება. აპრილსა და მაისში დაკბენის თითო შემთხვევა დაფიქსირდა. ორივე მამაკაცია, არცერთი მათგანი არ არის ადგილობრივი მცხოვრები, ისინი სამთაწყარო-ფიროსმანის ტერიტორიაზე სამუშაოდ იმყოფებიან. დაგესვლის ორივე შემთხვევაში მამაკაცებს დროულად ჩაუტარდათ ანტიგიურზინით ვაქცინაცია და გართულებები და პრობლემები არ ყოფილა. დედოფლისწყარო ანტიგიურზინის ვაქცინით უწყვეტად მარაგდება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან. გამოყენებისთანავე მარაგი იმავე დღეს ივსება. ამჟამად ე.წ. შრატი ინახება ჩვენთან, ჯანდაცვის ცენტრშიც და დედოფლისწყაროს საავადმყოფოშიც. ამას გარდა, ძალიან კარგი პრაქტიკა დაინერგა ქვეწარმავლებთან ბრძოლაში. ხელშეკრულებები გაფორმდა და თვეში ერთხელ ჩამოდიან დერატიზაცია-დეზინფექცია-დეზისექციის სამსახურის თანამშრომლები და ტერიტორიებს ამუშავებენ გველის საწინააღმდეგო შრატით. ასევე, რამდენიმე სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება და სკოლის ტერიტორიებიც დამუშავდა. თუმცა, ეს სამსახური არ ახდენს მასიურად დასახლებების დამუშავებას, ისინი კონკრეტულ ლოკაციებზე მოქმედებენ, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. მაგალითად, ჩვენც და საავადმყოფოც ვამუშავებთ ტერიტორიებს. ვეტაფთიაქებში იყიდება ცალკეული პრეპარატები, რომელთა საშუალებითაც მოქალაქეებს თავად შეუძლიათ მინიმალურად მაინც შეებრძოლონ ქვეწარმავლების გავრცელებას და პრევენციული ზომები გაატარონ საკუთარ ტერიტორიებზე.“

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მარინა პოპიაშვილი „შირაქს“ ეუბნება, რომ მათთან ქვეწარმავალი არ დაფიქსირებულა, თუმცა უკვე ორი თვეა, პრევენციის მიზნით, სპეციალურ სამსახურთან ხელშეკრულება აქვთ და ტერიტორიას სპეციალისტები ამუშავებენ.

„ქალაქ დედოფლისწყაროში ვცხოვრობ, ორი კვირის წინ სახლში შესასვლელ კართან გველი დამხვდა და რომ ვიყვირე, კატა გაედევნა და მოკლა. ასე გადამარჩინა. საინტერესოა, საიდან გაჩნდა სახლში გველი?“ - ამბობს ნონა ნიკოაშვილი.

***ილია მარტყოფლიშვილი***

# სეტყვამ დედოფლისწყაროს სამი სოფელი დააზარალა

***12 ივნისს, საღამოს მოსულმა ძლიერმა სეტყვამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამი სოფელი: სამთაწყარო, ფიროსმანი და არხილოსკალო დააზარალა. დაზიანებულია ვენახები, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები.***

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, სეტყვამ მნიშვნელოვნად დააზიანა ვენახები, მარცვლეული კულტურები, მაგრამ მან ამჯერად მოსახლეობა, შინაური ფრინველი, ცხოველები და ინფრასტრუქტურა დაინდო.

სტიქიამ ყველაზე მეტი ზიანი ალაზნისპირა სოფლებს-სამთაწყაროსა და ფიროსმანს მიაყენა. ფიროსმანში მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებულის ვალიკო აბაშიძის განმარტებით, სეტყვამ 300 ჰექტარი ვენახი და 200 ჰექტარზე მეტი ხორბლისა და ქერის ნათესები დააზიანა. „33 წელია, ასეთი სტიქია სოფელს არ ახსოვს. სავარგულების 130 ჰექტარი დატბორილია და იქ ვერავინ შედის. 300 ჰექტარი ვენახი დასეტყვილია და აგრეთვე 130 ჰექტარი სიმინდის ნათესი. სტიქიამ ასაღებად გამზადებული ქერის მოსავალი გაანადგურა, თავთავები წააცალა. მოსახლეობამ მხოლოდ რამდენიმე ჰექტრის აღება მოასწრო. ასეთივე მდგომარეობაა ხორბლის ყანაშიც“- აცხადებს გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ვალიკო აბაშიძე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გელა სამუკაშვილის ინფორმაციით, 12 ივნისს მოსულმა სეტყვამ ყველაზე მეტად ალაზნისპირა სოფელი ფიროსმანი დააზარალა, სადაც 300 ჰექტარი ვენახი დაისეტყვა, აქედან 50 ჰა მთლიანად განადგურებულია. სტიქიამ მნიშვნელოვნად დააზიანა საშემოდგომო კულტურებიც. სამთაწყაროში 150 ჰექტარი ვენახი 50%-თ გაანადგურა. არხილოსკალოშიც დაისეტყვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები“.

**ინგა შიოლაშვილი**



# ხუთ სკოლაში დირექტორს აირჩევენ

**დედოფლისწყაროს 5 საჯარო სკოლაში დირექტორს უახლოეს დღეებში აირჩევენ. სკოლის დირექტორების მსურველთა კიდევ ერთი კონკურსი რამდენიმე თვის წინ დაიწყო, დედოფლისწყაროში სულ 33 კანდიდატურა იყო რეგისტრირებული, რომელთაგან წარმატებულები სამინისტრომ ასარჩევად შესაბამისი სკოლების სამეურვეო საბჭოებს 13 ივნისს წარუდგინა. სამინისტროს შეეძლო სეტრიფიცირებული რამდენიმე კანდიდატი წარედგინა, თუმცა მხოლოდ თითო კანდიდატი დაუშვა. სამეურვეო საბჭოები ყველა სკოლაში მოქმედებს და პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეებისგანაა დაკომპლექტებული, ფარული კენჭისყრით სწორედ ისინი აირჩევენ სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანდიდატს.**

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, სამრეკლოს, ქვემო ქედის, სამთაწყაროს, არბოშიკისა და გამარჯვების სკოლებში უკვე წარდგენილია თითო კანდიდატი, რომლებსაც სამეურვეო საბჭო 1 კვირის ვადაში აირჩევს. ხოლო, ზემო ქედის №1, საბათლოსა და ფიროსმანის საჯარო სკოლებში არცერთი კანდიდატი არ არის წარდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ხსენებულ სკოლებში არჩევნები არ შედგება და მოქმედი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლები დარჩებიან.

„დირექტორის არჩევნები გასულ წელს 7 სკოლაში ჩატარდა, მეორე ეტაპზე დარჩა 8 სკოლა. გასულ კვირას სამინისტროს მიერ 5 სკოლაში ჩამოეშვა კანდიდატი. ხოლო ფიროსმანის, საბათლოსა და ზემო ქედის სკოლებში - არა. პირველი ეტაპისგან განსხვავებით ამჯერად სამინისტრო დირექტორობის მსურველის სერტიფიკატს აღარ გასცემს, ანუ გამოცდაზე გასვლა ვადიანი აღარ არის. თუ ადრე სერტიფიკატს მოიპოვებდა აპლიკანტი და ის უვადო იყო, ახლა გამოცდაზე ყოველ ჯერზე გავა მსურველი,“ - უთხრა „შირაქს“ რესურსცენტრის უფროსმა მაკა ჯანაშვილმა.

სკოლის დირექტორობის მსურველი ახალი კანდიდატების ტესტირება განათლების სამინისტრომ 10 მარტს გამართა. ამას ემატება ის კანდიდატებიც, რომელთაც დირექტორობის სერტიფიკატი უკვე მოპოვებული ჰქონდათ და გასული წლის კონკურსში არსად წარადგინეს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სკოლის დირექტორების კონკურსში ამჯერად 33 კანდიდატი იყო რეგისტრირებული.

*სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა — 6*
*სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლა — 6*
*ზემო ქედის №1 საჯარო სკოლა — 4*
*სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლა — 4*
*სოფელ ფიროსმანის საჯარო სკოლა — 4*
*ქვემო ქედის საჯარო სკოლა — 4*
*სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლა — 3*
*სოფელ საბათლოს საჯარო სკოლა — 2*

გასულ წელს დედოფლისწყაროს 7 სკოლაში სკოლის დირექტორი აირჩიეს, ერთში კი არჩევნები იმ მიზეზით ჩაიშალა, რომ სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ მოქმედ დირექტორს, სამინისტროს მიერ წარდგენილ კანდიდატს ნინო სულიაშვილი-არაბულს მხარი არ დაუჭირა. ამის მიუხედავად, ოქტომბერშივე შეეძლო მინისტრს იგივე კანდიდატი დირექტორად დისკრეციული უფლებით მაინც დაენიშნა, თუმცა გიორგი ამილახვარი განმარტავდა, რომ არ სურდა ამ უფლებით ესარგებლა და ხელახალ კონკურსს გამოაცხადებდა.

სოფელ გამარჯვების სკოლის სამეურვეო საბჭოში რვა წევრია, საბჭოს თავმჯდომარის, ქეთი ბიკაშვილის განმარტებით, ორი წევრი არჩევნებზე არ გამოცხადდა, სამმა წევრმა მოქმედ დირექტორს ხმა არ მისცა, ხოლო დანარჩენი სამი წევრის ხმა სულიაშვილმა მოიპოვა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა. ამდენად, მომავალ კვირას გამარჯვების საჯარო სკოლაში განმეორებითი არჩევნები ჩატარდება უცვლელი კანდიდატით.

სკოლების ნაწილში რამდენიმე კანდიდატი იყო, რომლებმაც დირექტორის მსურველის სერტიფიკატი მოიპოვა, თუმცა, სამინისტრომ ყველა სამეურვეო საბჭოს მხოლოდ ერთი კანდიდატურა წარუდგინა და არჩევანის შესაძლებლობა არ დატოვა. იარან ისეთებიც, რომლებიც სერტიფიკატის მოპოვების და ყველა ეტაპის წარმატებით გადალახვის მიუხედავად არცერთ სკოლაში არ წარადგინეს, არადა ეს მაშინ, როცა სკოლის დირექტორობის სერტიფიცირებული მსურველების რაოდენობა საჭიროზე ბევრად ნაკლებია.

***ილია მარტყოფლიშვილი***

# საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსების კონკურსი დასრულდა

***საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორების შესარჩევი კონკურსი დასრულდა. 69 მუნიციპალიტეტში 660-ზე მეტი აპლიკანტი იყო რეგისტრირებული. კანდიდატებმა 5 ივნისიდან სამინისტროსგან კონკურსის შედეგები და პასუხები ელექტრონულ ფოსტაზე მიიღეს. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის სავარძლის დასაკავებლად 4 კანდიდატი იბრძოდა, მათ შორის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაკა ჯანაშვილი. ის ამ პოზიციაზე 2022 წლის ოქტომბრის ბოლოს დაინიშნა.***

ამ დრომდე რესურსცენტრების ხელმძღვანელებს საჯარო მოხელის სტატუსი არ ჰქონდათ, რის გამოც 2024 წლის იანვრიდან ყველა მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელი გათავისუფლდა და რეფორმის შედეგად საჯარო მოხელის სტატუსი მიიღო, პოზიციის დასაკავებლად კი კონკურსი დაიწყო. პროცესი უკვე დასრულდა, კონკურსის შედეგები საჯარო არ არის, კონკურსში მონაწილე პირებს პასუხი წერილობით აცნობეს.



დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაკა ჯანაშვილი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ აცხადებდა, რომ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა და თანამდებობის დაკავების სურვილი ისევ ჰქონდა. უცნობია, დანარჩენი სამი კანდიდატის ვინაობა, თუმცა განათლების სამინისტროდან დადებითი პასუხი მაკა ჯანაშვილმა მიიღო, რის საფუძველზეც ის დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსად დაინიშნება. ჯანაშვილი გაზეთ „შირაქს“ უდასტურებს, რომ დადებითი პასუხი სამინისტროსგან უკვე მიიღო და ეს მისთვის დიდი პასუხისმგებლობაა.

**მაკა ჯანაშვილი:** „პირველ ეტაპზე დოკუმენტაციის გადარჩევა მოხდა, შემდეგ კი გასაუბრება ჩატარდა. დადებითი პასუხი ელექტრონულ ფოსტაზე უკვე მივიღე. რადგან წარმატებით გადავლახე, აღარ დავინტერესებულვარ კონკრეტულად რამდენი ქულა მივიღე. 5 ივნისს მივიღე შეტყობინება, რომ არჩევანი ჩემს კანდიდატურაზე გაკეთდა. დადებითი პასუხის მიღება ჩემთვის ნიშნავს კიდევ ერთხელ ნდობის გამოცხადებას. ჩემი მხრიდან კი უდიდესი პასუხისმგებლობის აღებას. 16 სკოლის მართვა მარტივი არ არის, მითუმეტეს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი ყველაზე დიდ ფართობზეა გაშლილი და ყველა სოფელთან კონტაქტი მეტ ძალისხმევას მოითხოვს. ახალი ეტაპია ჩემთვის, მაგრამ მოვალეობის შემსრულებლის პოზიციიდანაც და დირექტორის უფლებამოსილების განხორციელების დროსაც საქმე ერთიდაიგივეა და ხელმძღვანელისგან თანაბარ პასუხისმგებლობას მოითხოვს, სტატუსი და სახელწოდება არაფერს ცვლის. ჩემი აზრით, რესურსცენტრის ხელმძღვანელებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ საჯარო მოხელის სტატუსი, ეს ბევრ დაბრკოლებას ქმნიდა და წარმოუდგენელი იყო ასე მუშაობა, ამიტომაც ყოველთვის ამისი მომხრე ვიყავი და მომეწონა სამინისტროს და ხელისუფლების ახალი მიდგომა, რომ ეს ცვლილება განხორციელებულიყო და ხელახლა გამოცხადებულიყო ვაკანსიები. რაც შეეხება ჩემს კონკურენტებს, დედოფლისწყაროში კიდევ სამი კანდიდატი იყო რეგისტრირებული, თუმცა გასაუბრების დროს არცერთი მათგანი არ მინახავს, არანაირი კვეთა არ გვქონია. მათი ვინაობა საჯარო არ არის, ამდენად ჩემთვის დღესაც უცნობია კონკრეტულად ვინ მონაწილეობდა შესარჩევ კონკურსში, ან რა შედეგი აჩვენეს. ვფიქრობ, ღირსეულად გავართმევ თავს. იგივე შემართებით და ძალისხმევით, შესაძლებლობას არ დავიშურებ დედოფლისწყაროში განათლების სფეროს განვითარებისთვის“.

***ილია მარტყოფლიშვილი***

# „ოთხი ძვირფასი გაზაფხული...“

***„მე ვარ იმედი, მე ვარ ხვალინდელი დილა...“***
***„შენთვის ვიზრდები საქართველო, რაც გინდა მთხოვე...“***
***„მეგობრობის სიყვარულით ავამღერებ ჩემს პატარა გულს...“***

11 ივნისს, ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა დიდმა ჟრიამულმა მოიცვა. ჟრიამულის მიზეზი კი ამავე სკოლის მეოთხე კლასის დაწყებითი საფეხურის დამთავრება გახლდათ. სკოლის დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას კოპწიად გამოწყობილი ბავშვების ტიტინა ხმა, სიხარულით მოელვარე თვალები და აღტაცებული მზერა ათბობდა.

ისმოდა ლექსები და სიმღერები საქართველოზე, სიყვარულზე, სითბოსა და მზრუნველობაზე, მასწავლებელსა თუ განვლილ ოთხ, მეგობრულ წელზე, რომელიც მათთვის ძალიან ძვირფასი აღმოჩნდა. მხიარულმა სასცენო ნომრებმა, არამარტო დამსწრე საზოგადოება, არამედ თვითონ მონაწილე ბავშვებიც ძალიან გაახალისა.

ღონისძიება საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული, ბავშვები დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდნენ მათზე „დაკისრებულ მოვალეობებს“, ცეკვავდნენ, მიმართავდნენ საზოგადოებას და ამაყად, სიცოცხლით სავსე თვალებით, უშრეტი ენერგიითა და მომავლის იმედით აცილებდნენ განვლილ ოთხ წელს.

ღონისძიების დასასრულს მოსწავლეები: ბარბარე ლეჟავა, სალომე იაკობიშვილი, ანდრია კიკილაშვილი, ნიცა მჭედლიშვილი, გუგა ბენაშვილი, დავით ნატროშვილი, ქეთევან ჭილიტაშვილი, ანდრეა უსენაშვილი, მარიამ ჯანაშვილი , ლუკა უზუნაშვილი, ნინო ტოკლიკიშვილი, გიორგი ჯამასპიშვილი, ნიკოლოზ მარტყოფლიშვილი, ვასიკო ნასრაშვილი, ეკატერინე ხარაშვილი, ლუკა ბოსტოღანაშვილი, გაბრიელ იაკობიშვილი, ნია ჩუთლაშვილი, ნინო ნატროშვილი, ანდრია ტოკლიკიშვილი, ირაკლი ტოკლიკიშვილი, მარიამ ბოსტაშვილი პირველმა მასწავლებელმა ნათელა ჩიტიშვილმა სამახსოვრო სიგელებით დააჯილდოვა.

ნათელა ჩიტიშვილი, დამრიგებელი: „ჩემო საყვარელო ბავშვებო, გილოცავთ დაწყებითი კლასების პირველი საფეხურის დამთავრებას და ცხოვრების ახალ, უმნიშვნელოვანეს ეტაპზე გადასვლას. თქვენ უკვე დიდები ხართ, მაგრამ ჩემთვის ყოველთვის დარჩებით იმ ნამცეცა მოსწავლეებად, რომლებიც ყოველდღე სითბოსა და სიყვარულს ასხივებდნენ თავიანთი პაწაწინა გულებიდან. ჩვენ ბევრი რამ გამოვიარეთ გაცნობის დღიდან. ამ ხნის მანძილზე ყველაზე ძვირფასი და ღირებული ის სიწრფელე და



სიხალისე იყო, რაც თქვენგან მოდიოდა. განსაკუთრებულები ხართ და თავი დამამახსოვრეთ შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობით, ყურადღებით, ბავშვური სიცელქით და უდიდესი სიყვარულით. დასრულდა ჩვენი ურთიერთობის ულამაზესი ოთხი წელი, თვალსა და ხელს შუა გაიარა ოთხმა ძვირფასმა გაზაფხულმა, ვეთხოვებით ერთმანეთს მაგრამ ახლა ძალიან მნიშვნელოვანი რაც არის, მტკიცე საძირკვლის ჩაყრის დროა. იმ საძირკვლის, რაზეც თქვენ ცოდნის მყარი კედელი უნდა ააგოთ. არ დაკარგოთ დრო, ყოველდღე თითო აგური შეადუღეთ ამ კედელს. თქვენ ეს საძირკველი ნამდვილად გაქვთ. ჭკვიანები და გონიერები, მხიარულები და ცელქები, მეგობრულები და კეთილები, თბილები და ძალიან საყვარელი ბავშვები ხართ. ვიცი, რომ ღირსეული მოქალაქეები იქნებით. შეგხედავთ, მიგადევნებთ თვალს და ვიამაყებ თქვენით. მადლობა ერთად გატარებული ოთხი წლისთვის, სითბოსა და სიყვარულისთვის. ნახვამდის ჩემო ძვირფასებო, დალოცვილი ყოფილიყავით და წარმატებებით გევლოთ ცხოვრების გზაზე. ასახელეთ სკოლა, მშობლები და თქვენი ნათელა მასწავლებელი.

პირველი მასწავლებლის სითბო გაგყოლოდეთ,
პირველი სიყვარულის ძალამ აგამაღლოთ,
დედის ნანასავით მინდა გინანაოთ,
ჩემი დედაენით გაზრდილო ბოკვრებო“.

ხათუნა მაძღარაშვილი, ზემო მაჩხაანი სკოლის დირექტორი: „ბავშვებო მინდა მოგილოცოთ ეს ლამაზი დღე. დაგილოცოთ თქვენი მომავალი. მე მჯერა, რომ ისეთივე ლაღები, ისეთივე მშვენიერები იქნებით, როგორც დღეს იყავით.

*/გაგრძელება გვ.7/*

# პედაგოგისა და მშობლის ტანდემი — გზა ბავშვის წარმატებისკენ...

*ამ ინტერვიუს მთავარი გმირი 39 წლიანი პედაგოგიური გამოცდილების მქონე მასწავლებელია, რომელიც დაუღალავად, უშრეტი ენთუზიაზმითა და ბავშვებისადმი გაუნელებელი სიყვარულით ემსახურება თავის საქმეს. ინტერვიუ მისთვის ბუნებრივ გარემოში - სკოლის კედლებში შედგა, სადაც მასწავლებლობაზე, ბავშვებზე, სასწავლო პროცესზე და კიდევ უამრავ სხვა მნიშვნელოვან საკითხზე ვისაუბრეთ. დღეს მკითხველის წინაშე დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი, დაწყებითი კლასების პედაგოგი* **მზია არაბულია.**



***- ქალბატონო მზია, გაეცანით მკითხველს. მოგვიყევით თქვენს შესახებ, ოჯახი, შვილები, საქმიანობა, ვინაა მზია არაბული...***

დავიბადე და გავიზარდე ყაზბეგში. იქვე დავამთავრე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა. განათლება პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინტიტუტში მივიღე და მისი დასრულებიდან დღემდე ვეწევი პედაგოგიურ მოღვაწეობას. თავიდან ყაზბეგში ჩემს მშობლიურ სკოლაში დავბრუნდი სამუშაოდ. დედოფლისწყაროში დავვოჯახდი და მას შემდეგ ამ სკოლაში ვმუშაობ. სამი შვილი მყავს: რატი, გიორგი და ილია. მათგან ორი საზღვარგარეთაა, ერთი კი თბილისში ცხოვრობს.

***-რატომ გადაწყვიტეთ პედაგოგობა?***

ბავშვებთან ბევრი საერთო მაქვს. პატარაობიდანვე ყველა ბავშვი მიყვარდა - მეზობლის, ნათესავების, ჩამოსული, ყველა. მქონდა არჩევანი სხვა პროფესია შემესწავლა, იურისტობაც მინდოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც პედაგოგობაზე შევჩერდი. სკოლიდან წასვლაზე რომ დავფიქრდები, სხვა პროფესიაში ვერ წარმოვიდგენ ხოლმე საკუთარი თავს. ასე მგონია, სხვა საქმის კეთება არ შემიძლია, რადგან თითქმის დაბადებიდან დღემდე მუდმივად ამ საქმეში ვარ, ამ პროფესიას ვემსახურები.

***- რამდენი წელია რაც პედაგოგიურ საქმიანობას ეწევით?***

1985 წელს დავამთავრე პედაგოგიური ინსტიტუტი და მას შემდეგ უკვე 39 წელია რაც საგანმანათლებლო სივრცეში ვარ. წყვეტა მქონდა ცოტა ხანი, ყაზბეგში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ვიყავი. შედეგ დაიწყო პერიოდი, როდესაც ყველაფერი იკეტებოდა და მეც ისევ სკოლაში დავბრუნდი. აქ გადმოსვლის შემდეგ, 1993 წლიდან დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაში ჯერ შემცვლელ მასწავლებლად დამიძახეს, გარკვეული საკადრო ცვლილებების შემდეგ კი, მუდმივ თანამშრომლად დავინიშნე. სხვაგან არსად მიმუშავია და ასე მგონია, სხვა არც არაფერი ვიცი (იღიმის).

***- ამ წლების განმავლობაში რამდენი სადამრიგებლო კლასი გყავდათ?***

ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყისში, მუდმივად ისეთი კლასები მყავდა, რომლებსაც მხოლოდ რამდენიმე წელი ვასწავლიდი. სადამრიგებლო კლასები არ მყოლია. მაგრამ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ეს პრაქტიკა აქტიურად დამკვიდრდა, ხუთი სადამრიგებლო კლასი მყავს გაშვებული, რომელთაც პირველიდან მეოთხე კლასამდე სულ მე ვასწავლიდი.

***- წლების შემდეგ რამდენად გაქვთ ურთიერთობა იმ ბავშვებთან, რომლებიც ასე ვთქვათ „დააფრთიანეთ“? რამდენად გაქვთ მათთან კონტაქტი?***

წარსულში დაბრუნება და მოგონებების გახსენება უფრო მაშინ ხდება, როდესაც ჩემი გაშვებული ბავშვები სკოლას ამთავრებენ. არ იქნება უცხო, თუ ვიტყვი, რომ ბოლო ზარზე და ბოლო მომენტებში უფრო ვახსენდებით. თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ სოციალურ სივრცეში დღემდე აქტიურად ვკითხულობთ ერთმანეთს. ხანდახან მგონია, რომ დედაზე დიდი გულშემატკივარი ვარ მათთვის (იღიმის). მუდმივად ვგულშემატკივრობ და ყველას ამბავს ვკითხულობ, სულ მაინტერესებს სად არიან, რა წარმატებებს მიაღწიეს. სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ, არც ველოდი, ისე გამომეცხადნენ თავიანთი მედლებით (იღიმის). შენახული მაქვს მათი ნაწერები, ნივთები, სასიამოვნოდ, რომ იხსენებენ ხოლმე შემდგომ სხვადასხვა შეხვედრისა და ღონისძიების ფარგლებში.

***-ბავშვებთან ურთიერთობის პროცესში, რომელია თქვენთვის დასამახსოვრებელი დღე?***

თითქმის ყველა ბავშვთან მაქვს ასეთი დღე, თუმცა, გაკვეთილების პროცესში ნაკლებად, რადგან გაკვეთილი სამუშაო პროცესია და აქ განსაკუთრებულს თითქმის ვერაფერს დაიმახსოვრებ. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი დღეებიც გვქონია, ღია გაკვეთილები, სამინისტროდან დასწრებები, შემოწმებები. თუმცა, თვითონ ბავშვებთან ურთიერთობის დროს, მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია გამოსამშვიდობებელი დღეები. სულ გულს მტკენს მათთან დამშვიდობება. როდესაც მოახლოვდება ხოლმე ეს დღეები, თავს ვერ ვიკავებ და ვტირი. არ ვიცი რატომ, თვითონაც ვერ ვხვდები.

***- თქვენთვის როგორც პედაგოგისთვის რამდენად რთულია გამომშვიდობების პროცესი?***

ალბათ, ხშირად გინახავთ გამომშვიდობების ცრემლიანი პროცესი - როდესაც ბავშვები და მასწავლებელი ერთდროულად ტირიან. ასე იყო ჩვენთანაც. მომზადების პროცესში, წარმოვიდგენდი, რომ ამ ბავშვებს სადღაც, შორს ვუშვებ. განა ის ბავშვები არ მეყვარებიან, რომლებიც პირველი კლასიდან შემოვლენ ჩემი ფრთის ქვეშ? მაგრამ, ყოველ გამომშვიდობებას ეს პროცესი ახლავს თან - ემოციები, მღელვარება. დამშვიდობება ჩემთვის ძალიან სევდიანია, მაგრამ მათ მომავლის იმედითაც ვუშვებ. ბოლო პერიოდშიც სულ ამაზე ვესაუბრებოდი, უკეთესი მომავლის რწმენას ვუნერგავდი, ვეუბნებოდი, გაიზრდებით, თქვენს წარმატებებს გავიგებ და ძალიან გამიხარდება. პირველი მე უნდა გავიგო თქვენი წარმატების შესახებ-მეთქი, ვხალისობდით.

***-კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდით რაც ამ წლებში გადახდენიათ...***

რა თქმა უნდა, არ უარვყოფ, ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი კურიოზი დაგროვდა. თუმცა, ერთ მათგანს გამოვყოფ: ჩემი ერთ-ერთი მოსწავლე, რომელიც პატარა შემოვიდა სკოლაში, ძალიან ბავშვური იყო, ვერც კი ხვდებოდა, რომ სკოლაში იყო და სასკოლო პროცესს უნდა მორგებოდა. ერთხელ ვთქვი, რომ სკოლაში ექიმი უნდა მოსულიყო და შევეკითხე ბავშვებს, ვინმეს ტილები ხომ არ ჰყავდა. დედიკოებს უთხარით, რომ თავი მოგიწესრიგოთ და ისე დავხვდეთ ექიმს-მეთქი. წამოხტა ეს უსაყვარლესი ბავშვი და მეუბნება: მასწავლებელო, ტილები კი მყავდა, მაგრამ დედამ გოგრის კურკები მაჭამა და გამიარაო (იცინის).

***- ამ ხნის განმავლობაში, არის თუ არა რაიმე, რაც გინანიათ, როგორც პედაგოგს და არის თუ არა რაიმე, რაც განუხორციელებლი გაქვთ ?***

სინანულით სკოლაში მუშაობა არასდროს მინანია. არასოდეს მქონია მომენტი, რომ მეთქვა, ნეტა სკოლაში არა და სხვაგან სადმე მემუშავა-მეთქი. კლასში გათბობის საკითხი ჩემი, ალბათ, ყველაზე განუხორციელებელი სურვილია. შეშის ღუმელით ვთბებით და ამინდის ყოველი გაუარესება, ხშირად სასწავლო პროცესის შემაფერხებელი ფაქტორი ხდება ხოლმე. იმედი მაქვს, ეს ოდესმე მოგვარდება. რა თქმა უნდა, არის ოცნებებიც, რაც მინდა, რომ მიზნად ვაქციო და ავასრულო. ერთ-ერთი მათგანი, სწორედ ელექტრონული დაფის და საკლასო ოთახის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვაა. თანამედროვე, კეთილმოწყობილი კლასი ჩემს მოსწავლეებს - ესაა ჩემი დიდი სურვილი.

***- იმ ბავშვებზე, რომ გვესაუბროთ, რომელიც სულ ახლახანს დააფრთიანეთ და საშუალო საფეხურისკენ დაულოცეთ გზა...***

ახლაც ძალიან კარგი კლასი გავუშვი, ძალიან კარგი ბავშვები არიან. ცელქები, მოუსვენრები, მაგრამ ძალიან გონიერები, ნიჭიერები, ხალისიანები. ვფიქრობ, ოთხი კლასის დონეს რაც შეეფერება, იმაზე მეტიც იციან. პირდაპირ „ღრუბლები“ არიან, რომლებიც ისრუტავენ ყველაფერს. ერთი პატარა მინიშნებაც კი საკმარისია, ყველაფერს მიხვდნენ. წელს 25-მა ბავშვმა დაამთავრა მეოთხე კლასი.

***- როგორ ხედავთ მასწავლებლის როლს სწავლების პროცესში? რა მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელს?***

სწავლების პროცესში მასწავლებელზე მნიშვნელოვანი ფიგურა არავინაა. მასზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული. თუ მასწავლებელი ბავშვებთან არ არის, არ უყვარს ისინი, ვერ ურთიერთობს მათთან, კონტაქტს ვერ ამყარებს, მუდმივად ზემოდან დაჰყურებს, რთული იქნება კომუნიკაცია.



ბავშვს მეგობრად უნდა მასწავლებელი, შესაბამისად, მეგობრული ურთიერთობაც უნდა ჰქონდეს მასთან. მოსწავლეს უნდა უყვარდე. სხვანაირად ვერ წარმომიდგენია, რა უნდა ასწავლო, ბავშვს, როცა თვითონ ბავშვი არ გიყვარს და ბავშვებს არ უყვარხარ? როგორ უნდა შეხვიდე კლასში და რა უნდა გააკეთო? ძალიან დიდი როლი აქვს მასწავლებელს. გააზრებული უნდა ჰქონდეს მას, თუ რა ცოდნას გადასცემს მოსწავლეს, რამდენად სწორად აქვს დაგეგმილი სასწავლო პროცესი. ჩვენს სფეროში სიახლეები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ყოველ წელს რაღაც იცვლება. მასწავლებელმა ფეხი უნდა აუწყოს ამ სიახლეებს და ბავშვებიც შესაბამისად გასცემენ პასუხს ყველაფერს.

***- რა არის მასწავლებლისთვის ყველაზე მთავარი უნარი?***

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი რაც მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ეს გადმოცემის უნარია. შეიძლება მას ძალიან ბევრი ცოდნა ჰქონდეს დაგროვილი, დიდი ცოდნის მფლობელი იყოს, მაგრამ ბავშვს ელაპარაკოს მაღალფარდოვანი სიტყვებით, შედეგად, საერთოდ ვერ გააგებინო რას ეუბნები, რა სიტყვებით ლაპარაკობ. შესაბამისად, მუდმივად ვცდილობ ბავშვს ბავშვის ენაზე ვესაუბრო. ვცდილობ, ისე ავუხსნა ყველაფერი, რომ მისთვის იყოს ხელმისაწვდომი, გასაგები. ის, რასაც ველაპარაკები, ვესაუბრები მის გონებამდე, გულამდე მივიტანო. დილით როცა ვიღვიძებ და ვიცი, ახალი გაკვეთილი მაქვს ასახსნელი, მუდმივად ვფიქრობ, რა შეიძლება წავიღო სახლიდან ისეთი, რომ მათ ახალი მასალის გაგება უფრო გავუმარტივო, რა შეიძლება დამეხმაროს გაკვეთილის მარტივი ენით ჩატარებაში. სხვანაირად ბავშვები ცოდნას ვერ გამოავლენენ.

***- რა არის სწავლების ყველაზე რთული ნაწილი?***

სწავლების ყველაზე რთული ნაწილი ბავშვებთან კონტაქტის დამყარებაა. უპირველეს ყოვლისა, თითოეულმა პედაგოგმა ბავშვთან კონტაქტი უნდა დაამყაროს- ფიზიკური, თვალით, ცოდნით კონტაქტი - არ აქვს მნიშვნელობა. კონტაქტის დამყარებაა ყველაზე რთული. ამის შემდეგ უკვე ყველაფერი მარტივდება და თავისით მოდის. როდესაც შესული ხარ ბავშვის სულში, გულში, ყველაფერი თავისთავად მარტივდება. რა თქმა უნდა, გარკვეული ცოდნა და გამოცდილება ყველა პედაგოგს უკვე აქვს როდესაც ის სკოლაში შედის, სხვანაირად უბრალოდ წარმოუდგენელია, მაგრამ ეს ცოდნა ბავშვს გადასცე და მარტივი ენით გააგებინო, ეს ყველას არ შეუძლია. შეიძლება გარკვეული ინფორმაცია წიგნშიც კი არ ეწეროს, ისეთ რამეზე გაამახვილოს ყურადღება.

***- რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ დამატებით ლიტერატურას?***

კლასგარეშე ლიტერატურა ძალიან მნიშვნელოვანია. ახლაც, სასწავლო წლის მიწურულს, საკლასო ოთახში მაქვს დამატებითი ლიტერატურა, ბავშვები რომ მოვიდნენ საინტერესო საკითხავი დახვდეთ. ჩამოვარიგე ეს საინტერესო წიგნები და ბავშვებს შევთავაზე ამოერჩიათ მათთვის საინტერესო მონაკვეთი ან მოთხრობა, რომელიც შემდეგ უნდა წაეკითხათ. ყველამ ამოარჩია თავის სურვილისამებრ, მეც წავუკითხე მათ მცირე ამონარიდი. რა თქმა უნდა, ზოგიერთ ბავშვს გადაკითხული აქვს წინასწარ სასკოლო მასალა, მაგრამ კლასგარეშე ლიტერატურა მაინც დამატებით საფიქრალს, დამატებით ცოდნას აძლევს თითოეულ მათგანს. პლუს შეიძლება ყველას არ მიუწვდებოდეს ხელი დამატებით ლიტერატურაზე და ამ კუთხითაც ვცდილობდი მაქსიმალურ ხელშეწყობას.

***- თანამედროვე ტექნოლოგიებზე ბავშვების მიჯაჭვულობის შესახებ ყველას გვსმენია. თქვენი დაკვირვებით, უყვართ თუ არა ბავშვებს კითხვა?***

გულახდილად გეტყვით: ვერ ვიტყვი, რომ ტელეფონზე მეტად წიგნი და წიგნის კითხვა უყვართ. თუმცა, იყვნენ ჩემს კლასში ისეთი ბავშვებიც, ვინც მთელი ზამთარი ბიბლიოთეკაში ისხდნენ და კითხულობდნენ. მუდმივად ვეწევი წიგნის კითხვის აგიტაციას. ერთი მოთხრობაც რომ წაიკითხონ წიგნიდან, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. ამის შემდეგ მოაქვთ ხოლმე ენციკლოპედიები, თავისი სურვილით, სადაც სკოლაში განვლილ და ნასწავლ მასალას პოულობენ და ადარებენ, რა წერია და რა ისწავლეს დამატებით.

***- მუსირებს აზრი, რომ ბავშვებს უჭირთ წაკითხულის გააზრება. თქვენ რამდენად გაქვთ ეს დაფიქსირებული?***

დიახ, გეთანხმებით. უჭირთ. პრობლემა ნამდვილად დგას. ეს უნარი ყველას არ აქვს, ფაქტია, მაგრამ მეტ-ნაკლებად დაძლევადია უკვე ახალ თაობაში. პლუს ამას ეს ბავშვზეცაა დამოკიდებული. ზოგ ბავშვს წაკითხულის გააზრება ისე შეუძლია, როგორც დიდ ადამიანს. თუ ბავშვი ხშირად აცდენს, მას მართლა უჭირთ შემდგომ მასალის სრულად ათვისება. იმიტომ, რომ სკოლაში ფაქტობრივად არ არის, არ ისმენს, აცდენს ანდაც ოჯახისთვის სწავლა პრიორიტეტი არ არის. ამჩნევ, რომ მშობლის დაინტერესება ნაკლებია. თუმცა, კლასში, 70-80 პროცენტს ეს შეუძლია.

***-როგორია მშობლის როლი...***

ძალიან მაგარი მშობლები მყავდნენ. ვიტყვი, ხოლმე, რომ ყველა კლასში ასეთი მშობლები მხვდებიან და იღბლიანი ვარ-მეთქი. ყურადღებიანები, გვერდში მედგნენ ყველანაირად ამ ოთხი წლის განმავლობაში. მთავარია რამე მეთქვა. მშობელზე დიდად არის დამოკიდებული საკუთარი შვილის წინსვლა. მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ხელს შეუწყობს ის შვილის განვითარებას. მშობელი მუდმივად გვერდში უნდა ედგეს შვილს, თუ სურს, შვილმა წარმატებას მიაღწიოს.

***-რომელია საუკეთესო სასკოლო პროექტი ან გაკვეთილი, რომელიც დაგამახსოვრდათ?***

ბოლო, გაცილების ღონისძიებაა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საუკეთესო პროექტი. გამომშვიდობება და დამშვიდობება. გასულ პერიოდშიც იყო აქტივობები, მაგრამ მნიშვნელოვნად მაინც დასკვნითი ღონისძიება მიმაჩნია. ის არამარტო მნიშვნელოვანი, არამედ საპასუხისმგებლოცაა, რადგან ერთია გააცილო, მაგრამ მეორეა იმ ცოდნით აღჭურვო, რაც შემდეგომ საფეხურებზე უნდა გამოადგეთ. ბავშვი გააცილო და არ გქონდეს დანაკლისის და უკმაყოფილების შეგრძნება, ეს მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ისევ უნდა აღვნიშნო ამ პროცესში მშობლების თანადგომა. მათი მოულოდნელი სიურპიზი ფლეშმობის სახით, ერთ-ერთი საუკეთესო მომენტი იყო ჩვენი გაცილების ღონისძიებაში. მასწავლებელთან ერთად თუ მშობელიც შეკრულია და მშობლის ჩართულობა მაღალია კლასის ცხოვრებაში, ვფიქრობ, ეს საუკეთესო მომენტია სასკოლო ცხოვრებიდან.

***- ძალიან ბევრ ახალგაზრდას, სწორედ სირთულეებთან და დაბრკოლებებთან შერკინების შიში უკან ადგმევინებს ნაბიჯს და უარს ამბობენ ხოლმე მასწავლებლობაზე. რას ურჩევდით ამ ახალგაზრდებს?***

აუცილებლად სცადონ. არ ინანებენ. თუ ჩაერთე ბავშვებთან ურთიერთობაში და სკოლაში შეხვედი, მორჩა, იქედან მოყოლებული ოჯახს უფრო დატოვებ, ვიდრე სკოლას. თუ სურვილი აქვთ, რომ პედაგოგები გახდნენ, ესეიგი რაღაც იზიდავთ მათ სკოლისკენ. მთავარი ცდაა და ვფიქრობ, ველარ დატოვებენ სკოლას, მიეჯაჭვებიან მას.

***წარმატებას ვუსურვებთ ქალბატონ მზიას, გვჯერა, რომ მისი ასეთი ენთუზიაზმი და შემართება უამრავი ბავშვის გულში სითბოს, სიყვარულს დატოვებს და მომავალშიც ძალიან თბილად და კარგად გაიხსენებენ, მას, მასწავლებელს, რომელიც ხშირად საკუთარი თავის გადადების ფასად ზრუნავდა და ყველაფერს აკეთებდა მათი წინსვლისთვის, წარმატებისთვის. შრომა ყოველთვის პოულობს თავის გზას, გზას, რომელიც პატარა გულებში დაბადებულ პატარა იდეებს დიდ საქმეებად აქცევს.***

**ქუქუნა ყანჩაშვილი**
**ხათუნა ბენაშვილი**

# მოხალისე ლეგიონერები ზემო მაჩხაანიდან



***სიღნაღის ისტორიული გალავნის ერთ-ერთ ბურჯზე ჩატარდა ადგილობრივი ლეგიონერების მოსამზადებელი კურსის დახურვის ცერემონია. გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის ორგანიზებით და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით საბაზისო სალაშქრო-სამხედრო მომზადების კურსი ქიზიყში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის მესამედ ჩატარდა. ამჯერად ლეგიონში 5 დედოფლისწყაროელი ახალგაზრდა იყო, ხუთივე ზემო მაჩხაანიდან. ტესტირება 12-მა ლეგიონერმა ჩააბარა, რის შემდეგაც დაჯილდოვების ცერემონია შედგა. პროექტის მიზანია მოქალაქეები კრიზისული სიტუაციებისთვის მოამზადოს და საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში დაეხმაროს. ლეგიონი სამოხალისეო დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც 2015 წლიდან მოქმედებს და კახეთის რეგიონული ორგანიზაცია სიღნაღში მოქმედებს.***

„ჩაუტარდათ საველე გასვლა თემაზე: „პირველადი დახმარება. ახალწვეულები გაეცნენ პირველადი დახმარების საფუძვლებს, TECC/TCCC ალგორითმების, უსაფრთხოებისა და ბრძოლის ველზე არსებული თანამედროვე გამოწვევების განხილვას. ველზე გაიარეს თეორიის შესაბამისი პრაქტიკა, რომელიც მოიცავდა: CAT ტურნიკეტის, იმპროვიზებული ტურნიკეტის და დამწოლი სახვევის დადებას. ასევე, სასუნთქი გზების გახსნასა და უსაფრთხო პოზიციას, ჰიპოთერმიის პრევენციასა და დაშავებულის უსაფრთხო პოზიციაში მოთავსებას. კურსანტებმა განიხილეს ინდივიდუალური და ჯგუფური პირველადი დახმარების ჩანთების შემადგენლობაც. სწავლების ბოლოს რეკრუტებმა დაშავებულის გადაყვანის ხერხები პრაქტიკაში გამოსცადეს," - აცხადებენ ლეგიონში.

გაზეთი „შირაქი" დედოფლისწყაროელ ლეგიონერებს გაესაუბრა და მათი მოტივაციითა და შთაბეჭდილებებით დაინტერესდა. როგორც გაირკვა, პროგრამა დედოფლისწყაროელი ახალგაზრდების მონაწილეობას არ ითვალისწინებდა, თუმცა აქედან იმდენად დიდი სურვილი იყო, გამონაკლისი დაუშვეს.



**თაკო ბენაშვილი** *(მეთაურის თანაშემწე)*: „გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონი დამოუკიდებელი, სამოხალისეო ორგანიზაციაა. მოქალაქეები ემზადებიან სხვადასხვა კრიზისული სიტუაციისთვის და ამ მიზნით საქართველოს მასშტაბით უფასოდ ტარდება დაწყებითი სამხედრო-სალაშქრო მომზადების, თემატური და სამეთაურო კურსები როგორც ზრდასრულების, ასევე მოზარდებისთვის. დაწყებითი სამხედრო მომზადების კურსი გრძელდება 2-2.5 თვე და მოიცავს 8-10 საველე სწავლებას და 15-25 ლექციას. თავგადასავლების მოყვარული ადამიანი ვარ და ვცდილობ, ჩემი თავი რაც შეიძლება მეტ სფეროში, მეტი მიმართულებით გამოვცადო და საკუთარი უნარები განვავითარო. სწორედ ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი დავუკავშირე ლეგიონს, სფეროს, რომელშიც ვერასოდეს წარმოვიდგენდი საკუთარ თავს. ფიზიკურად არასდროს ვყოფილვარ ძლიერი, თუმცა ვიცოდი იქ რისთვის მივდიოდი. თუმცა, ბოლომდე არ ვიცოდი რაც ადგილზე მელოდა. მომიწია კომფორტის ზონის დატოვება, საკუთარი სურვილებისა და სიამოვნების წინააღმდეგ გალაშქრება. ლეგიონმა მაჩვენა, რომ ჩვენ იმაზე მეტი შეგვიძლია ვიდრე წარმოვიდგენთ. ეს იყო საკუთარი თავის აღმოჩენის, ზრდისა და თვითგანვითარების გზა, სადაც გამოვცადე, რომ ერთიანობას, გუნდურობასა და მონდომებას შეუძლია ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა. ამას გარდა, ლეგიონში ჩემი გუნდელების სახით კიდევ ერთი ოჯახი შევიძინე, რომლებთანაც 8 კვირაში განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. თითოეულის მარცხს, შეცდომას თუ წარმატებას ყველა ვიზიარებდით. ჩვენს გუნდში ყოველთვის არსებობდა „ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის".

2023 წლის სექტემბერში დავხურე სიღნაღის რიგით II საბაზისო სამხედრო-სალაშქრო მომზადების კურსი, ჩავაბარე გამოცდა და მომენიჭა ლეგიონერის სტატუსი. თუმცა, რა თქმა უნდა, სამხედრო გამოცდილება ამით არ დამთავრებულა ჩემს ცხოვრებაში. 2024 წლის აპრილში დაიწყო რიგით III კურსი, სადაც ამჯერად უკვე მეთაურის თანაშემწის პოზიცია დავიკავე და ისევ დავბრუნდი ლეგიონში. ეს გამოცდილება რადიკალურად განსხვავდებოდა თავდაპირველისგან, რადგან უფრო მეტი პასუხისმგებლობა დამეკისრა როგორც მეთაურს. გამონაკლისის სახით მაჩხაანელი ახალგაზრდებიც დაგვიშვეს, რადგან ახლოს ვიყავით და საწვრთნელ ლოკაციებს შორის სოფელი ზემო მაჩხაანიც იყო. ამჯერად ჩემს გარდა კიდევ 4 ზემომაჩხაანელი მოხალისე გახლდათ: ლიზი ქევხიშვილი, ნიკოლოზ ბენაშვილი, გოჩა ჩუთლაშვილი, ნიკოლოზ ჯაბაშვილი და დავით გოგილაშვილი.

აღსანიშნავია ჩვენი მეთაურის, ნათია გურაშვილის დამსახურება, რომელიც არასდროს გვაძლევდა დანებების უფლებას. ყოველთვის გვიბიძგებდა, რომ ვყოფილიყავით საკუთარი თავის საუკეთესო ვერსიები. მისმა მხარდაჭერამ აღგვჭურვა რწმენით, რომ შეგვეძლო ის რასაც ვერც კი წარმოვიდგენდით. მაგრამ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რაც მე ლეგიონში ყოფნისას ვისწავლე, იყო თავგანწირვის მნიშვნელობა. ამ გამოცდილებამ, არამარტო ჩამომაყალიბა როგორც პიროვნება, არამედ ჩამინერგა მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობა ჩემი ქვეყნისა და საზოგადოების მიმართ.

სამხედრო ფორმა ჩემთვის სიწმინდესთან ასოცირდება. პროცესი, რასაც გავდივარ, მუდმივად საკუთარი თავის ძიებაა, საკუთარი თავისთვის იმის მტკიცება, რომ მე ეს შემიძლია. არ გამოვირჩეოდი არანაირი ფიზიკური ძალითა თუ მონაცემით, არც სპორტული ბავშვი ვყოფილვარ არასდროს. ჩემმა ახლობლებმა, როდესაც ჩემი ლეგიონში შესვლის შესახებ გაიგეს, მითხრეს, რომ ერთ კვირასაც ვერ გავძლებდი და დროზე ადრე წამოვიდოდი. თუმცა, ყველას ვაჩვენე, რამხელა ძალაც მქონდა. არ აქვს მნიშვნელობა ქალი ხარ თუ კაცი, რაც ძალიან გინდა, ის აუცილებლად გამოგივა, როგორ წარმოუდგენლადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ის. მინდა ყველა საფეხურზე ღირსეულად ავიდე და ვემსახურო ჩემს ქვეყანას. იმისთვის ვსწავლობთ, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ჩვენი ქვეყნის უკეთესობისკენ შეცვლაში. ვგუშაგობ ერს! მარად!"

**ლიზი ქევხიშვილი** *(ლეგიონერი)*: „პატარაობიდან ვადევნებდი თვალს ჯარისკაცებს და მათ ცხოვრებას. რა თქმა უნდა მომწონდა და ძალიან ხშირად ვფიქრობდი ამ თემაზე. სულ ვოცნებობდი, რომ ერთხელ მაინც მქონოდა შესაძლებლობა, მომერგო სამხედრო ფორმა და ღირსეულად მეტარებინა. ერთ დღესაც გავიგე ლეგიონის შესახებ. ძალიან დავინტერესდი და აქტიურად ვადევნენდი თვალს მათ გვერდს. აღმოჩნდა რომ, ჩემი მეგობარი (თაკო ბენაშვილი) აპირებდა წასვლას. გავიდა გარკვეული დრო და მას შემდეგ, რაც ის ლეგიონერი გახდა, საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ უნდა წავსულიყავი, ამესრულებინა ჩემი ოცნება და დამემარცხებინა უამრავი სტერეოტიპი, რომელიც დღევანდელ საზოგადოებაში არსებობს.

ეს იყო ერთ-ერთი გამოწვევა ჩემი ცხოვრების გზაზე. ამ კურსმა შემმატა ის, რასაც ვერ მომცემდა სკოლა, სახლი, თუ უმაღლესი სასწავლებელი. ეს გამოცდილება ჩემთვის დაუვიწყარი და შეუფასებელი იყო. ლეგიონმა მასწავლა კომფორტის ზონის დატოვება,საკუთარ თავთან გაბრძოლება. დამიმტკიცა, რომ შეუძლებელი არაფერია. ფეხზე გავლის სწავლა დაცემის გარეშე არ გამოგივა, მაგრამ



მთავარია არ შეეგუო ამ მდგომარეობას, არასდროს იყო საკუთარი თავით კმაყოფილი, არასოდეს თქვა არასოდეს. ეს იყო ნამდვილი ბრძოლა "ერთიანობა - ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის". სხვანაირი საკუთარი თავი დავინახე, ეს იყო ჩემი ნამდვილი სახე, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ. უბრალო რეკრუტიდან ლეგიონერობამდე გავიზარდე. ეს კურსი იყო ერთი დიდი აგურის დადება იმ შენობის ასაშენებლად, რაშიც უნდა ვიცხოვრო".

ესაუბრა

***ილია მარტყოფლიშვილი***

# კონფერენცია — „სასკოლო განათლების გამოწვევები და ინოვაციები"

7 ივნისს დედოფლისწყაროს მენტორი მასწავლებლების ინიციატივითა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით გაიმართა მუნიციპალური ინტერდისციპლინური მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივი კონფერენცია „სასკოლო განათლება-გამოწვევები და ინოვაციები". კონფერენციის მიზანია მოსწავლეების, მასწავლებლებისა და განათლების საკითხებით დაინტერესებული ადამიანების გამოცდილების გაზიარება, მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება და პროფესიული განვითარება, პედაგოგთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის ურთიერთობისა და კავშირების დამყარება, მოსწავლეებში შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: მენტორი მასწავლებლები: **რუსუდან გონაშვილი; თეონა ღონღაძე; ეკა სეფიაშვილი და მარინა შანშიაშვილი.**

კონფერენცია გახსნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მაკა ჯანაშვილმა. წარმოდგენილი იყო შემდეგი თემები:

„ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა" - ანი ფიროსმანაშვილი, ნატალი ტიკიშვილი, ლუკა მენთეშაშვილი გიორგი ღვედაშვილი - ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მე-X, მე-XII კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი: ეკა სეფიაშვილი);

„როგორ გვეხმარება ქართულის გაკვეთილები უკეთ ცხოვრებაში" - ლიკა ჯინაშვილი, ლალა ჩოფიკაშვილი - სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი: რუსუდან გონაშვილი);



„ამოცანების ამოხსნის სირთულეების დაძლევა V-VI კლასებში" - სოფიკო ალადაშვილი - დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი;

,,ინკლუზია ყველგან, ყველასთვის და ყოველთვის" - ლალი ნატროშვილი - დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის წამყვანი სპეცმასწავლებელი;

„კოლბერგის მორალისტური განვითარების თეორიის გამოყენება ლიტერატურული პერსონაჟების უკეთ აღსაქმელად" - ეთერ ალადაშვილი - დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი;

„ელექტრონული რესურსების გამოყენება მათემატიკის გაკვეთილზე" - გიული ყოჩიაშვილი - ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი;

„პროექტებით სწავლების როლი სასკოლო ცხოვრებაში" - ხათუნა სულაშვილი - დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი;

„საწრეო და საკლუბო მუშაობა" - ნინო ფიროსმანაშვილი - ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი;

,,სპეციალური მასწავლებლის როლი ინკლუზიურ განათლებაში'' - ირინა ფიროსმანაშვილი - დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის წამყვანი სპეციალური მასწავლებელი;

,,ხელნაკეთი რესურსების გამოყენება მათემატიკის გაკვეთილზე დაწყებით კლასებში" - ბელა სულაშვილი - დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის წამყვანი მასწავლებელი;

„ფინანსური განათლების ხელშეწყობა ინგლისური ენის გაკვეთილებზე" - მარინა შანშიაშვილი - სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მენტორი მასწავლებელი;

„ხარისხიანი განათლება" - თეონა ღონღაძე - სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებელი.

წარმოდგენილ მოხსენებებს საინტერესო დისკუსია მოყვა და დასასრულს კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცათ სერტიფიკატები.

# „ეს მანტია ყოველთვის თვალსაჩინო ადგილას გვექნება...“

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

ჩემთვის პირადად ის ფაქტი რომ გუშინ უამრავ ნიჭიერ და განათლებულ მოსწავლეებთან თუ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად ჩემი სახელიც გამოცხადდა ყველაზე ამაღელვებელი და დიდი მნიშვნელობის მატარებელი იყო, რადგან თავი ვიგრძენი დიდი საზოგადოების პატარა წევრად, სადაც ცდილობენ ახალგაზრდებს არა თუ დაუკარგონ სწავლის სურვილი, არამედ აუმაღლონ მოტივაცია და აგრძნობინონ თავი დაფასებულად. გარკვეულწილად მიჩენს პასუხისმგებლობის შეგრძნებას ეს სტატუსი, გავაგრძელო ჩემი მიზნებისკენ წინსვლა და უფრო მეტი მიღწევებით წარმოვაჩინო როგორც საკუთარი თავი, ასევე ოჯახის წევრები და პირველ რიგში ქვეყანა, რომლისთვისაც ვაპირებ უფრო და უფრო მეტი გავაკეთო“.


ლანა მენთეშაშვილი

**გიორგი გველუკაშვილი,** ***პირველი საჯარო სკოლა***: „მედალოსნობა, რა თქმა უნდა, დიდი პატივია ნებისმიერი კურსდამთავრებულისთვის, მის გამო ბევრი პრივილეგია შეგხვდება ცხოვრებაში, ეს სტატუსი თვითონ პრივილეგიაა. თუმცა, მე ვფიქრობ, პასუხისმგებლობა არასდროს მაკლდა და ახლა რამე განსაკუთრებულს ვერ დავიმატებ, რადგან ისედაც სიზუსტე, დეტალები და ვალდებულებები ჩემთვის უპირველესყოვლისაა“.

**გიორგი ალულიშვილი,** ***საპატრიარქოს სკოლა***: „გერქვას მედალოსანი ჩემთვის არის სასიხარულო და სასიამოვნო, რადგან ეს არის ერთგვარი სიმბოლო იმისა, რომ 12 წლის განმავლობაში სწავლაში ჩადებული შრომა დაფასდა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, თავდაჯერებულობას მმატებს, თუმცა, ამასთანავე მაგრძნობინებს დიდ პასუხისმგებლობას, რადგან გადავდივარ ცხოვრების ახალ ეტაპზე და უფრო დიდ სირთულეებთან მომიწევს შეჭიდება. მიუხედავად ამისა, ჩემთვის ეს დღე მოტივაციის მომცემია და მიბიძგებს უფრო დიდი წარმატებისკენ“.

**თებრონია ლომსაძე,** ***საპატრიარქოს სკოლა***: „მედალი გვანიჭებს თავდაჯერებულობას ცხოვრების ახალ ეტაპზე, შესაბამისად ეს ბევრს ნიშნავს ჩვენთვის. გუშინდელმა დღემ უზომო სიხარულთან ერთად გვაგრძნობინა რამხელა პასუხისმგებლობა გვაკისრია. გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ ჩვენს მასწავლებლებს, სკოლას, მშობლებს, ჩვენს მუნიციპალიტეტის მერიას და კახეთის სახელმწიფო რწმუნებულს გიორგი ალადაშვილს ამ ლამაზი დღისთვის“.

**ნინო შეითნიშვილი,** ***საპატრიარქოს სკოლა***: „უპირველეს ყოვლისა მინდა ავღნიშნო, რომ იყო მედალოსანი ეს ერთდროულად უდიდესი პასუხისმგებლობა და ბედნიერებაა. გუშინდელმა დღემ აღძრა ჩემში ემოცია, რომელიც არასდროს დამავიწყდება და ამ ტიტულის ტარება ორმაგად სასიხარულო გახადა. რა თქმა უნდა, მომავალში ეს მომცემს იმის მოტივაციას, რომ ნებისმიერი საქმე უფრო ბეჯითად გავაკეთო და წარმატებით დავასრულო. უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიას და კახეთის სახელმწიფო რწმუნებულს გიორგი ალადაშვილს გუშინდელი დღის ასე გალამაზებისთვის, ასევე ჩემი სკოლის დირექციას და პედაგოგებს, რომლებიც არ იშურებენ ძალას ჩვენი წარმატებისთვის“.

**ანასტასია იაკობიშვილი,** ***საპატრიარქოს სკოლა***: „ვარ ბედნიერი, რადგან გუშინ შესაძლებლობა მომეცა, რომ სხვა ბავშვებთან ერთად ვმდგარიყავი და ეს წარმატება მათთან ერთად მეზეიმა. რა თქმა უნდა, ეს სტატუსი მანიჭებს როგორც თავდაჯერებულობას , ისე დიდ პასუხისმგებლობას“.

**მარი ჩალახეშაშვილი,** ***ქართული ენა -ლიტერატურის მასწავლებელი, მედალოსნების კლასის დამრიგებელი:*** „ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის კურსადმთავრებულებს ვულოცავ სკოლის დამთავრებას. განსაკუთრებით კი მინდა გამოვყო ჩვენი სკოლის ექვსი კურსდამთავრებული, ექვსი მედალოსანი, რომლებმაც ღირსეულად მოიპოვეს ეს სტატუსი. გიორგი ალულიშვილმა სკოლა დაასრულა ოქროს მედალზე, ხოლო, ანასტასია იაკობიშვილმა, მარიამ იაკობიშვილმა, თებრონია ლომსაძემ, ლალი უთრუთაშვილმა და ნინო შეითნიშვილმა-ვერცხლის მედალზე. თითოეული მათგანი გამორჩეულია შრომისმოყვარეობით, გონიერებითა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. ძალიან მიხარია, რომ მათნაირი განათლებული, შეუპოვარი და განვითარებული მომავალი თაობა ჰყავს საქართველოს. მჯერა, ისინი ყველაფერს გააკეთებენ ქვეყნის, რეგიონის განვითარებისა და წარმატებისთვის. ჩვენ გვჭირდება ქრისტიანული მრწამსით აღზრდილი, განათლებული, მომავალი თაობა. ამიტომ, მათ მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ არსებული შესაძლებლობები, გააგრძელონ სწავლა, მიიღონ ფუნდამენტური განათლება, რადგან ეს ყველაფერი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ბედნიერი მომავლისათვის. ჩვენი მოსწავლეების წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის სკოლის დირექციასა და პედაგოგიურ კოლექტივს, რისთვისაც, მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო მათ, როგორც ამ მოსწავლეების კლასის ხელმძღვანელმა. მათი შრომა ფასდაუდებელია! კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველა მედალოსანს და ვუსურვებ წინსვლა- წარმატებას!


ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა

**ლალი უთრუთაშვილი,** ***საპატრიარქოს სკოლის მედალოსანი***: „ეს დღე ჩემთვის ბედნიერებასთან ასოცირდება. მედალი მმატებს თავდაჯერებულობას და ამავდროულად მახსენებს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მომავალში მელის. მე ვეცდები, რომ გავამართლო ყველას იმდები. ასევე ვისარგებლებ შემთხვევით და დიდ მადლობას გადავუხდი თითოეულ ადამიანს, რომელთაც არ დაიშურეს ენერგია და თავდაუზოგავად შრომობდნენ, რომ ღირსეულიად დაგვემსახურებინა მედალოსნის ტიტული“.

**მარიამ იაკობიშვილი**, ***საპატრიარქოს სკოლის მედალოსანი***: „გუშინდელი ღონისძიება ჩემთვის იყო ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და მოტივაციის მომცემი, რადგან ამ დღემ სიხარულთან ერთად გვაგრძნობინა და შეგვახსენა, თუ რამხელა პასუხისმგებლობაა იყო მედალოსანი. ეს სტატუსი პასუხისმგებლობასთან ერთად ნამდვილად მეტ თავდაჯერებულობას გვანიჭებს ცხოვრების ახალ ეტაპზე“.

**ნინო მარტყოფლიშვილი,** ***ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა***: „გუშინდელი დღე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია. ეს სტატუსი პირველ რიგში ჩემი შრომის დაფასებად მიმაჩნია. მედალოსნობა მმატებს უფრო მეტ თავდაჯერებულობასა და პასუხისმგებლობას სამომავლო გეგმების განხორციელებაში. ამ ყველაფერში დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს პედაგოგებს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს“.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ულოცავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 37-ვე წარჩინებულ ოქროს და ვერცხლის მედალოსანს ამ დიდ წარმატებას და დიდი სტარტით დაწყებულ ცხოვრების ახალ ეტაპს და უსურვებს, არასდროს მოდუნდნენ და ასევე მაღალი შემართებით გააგრძელონ ცხოვრება ერისა და ქვეყნის სამსახურში.

### ოქროს მედალოსნები:

1) ანი ფიროსმანაშვილი - დედოფლისწყაროს №1
2) ლუკა წიკლაური - დედოფლისწყაროს №1
3) თეკლა პოპიაშვილი - დედოფლისწყაროს №1
4) გიორგი გველუკაშვილი - დედოფლისწყაროს №1
5) გიორგი ვაირადიანი - დედოფლისწყაროს №1
6) მილენა კასიანოვი - დედოფლისწყაროს №1
7) სალომე ბენაშვილი - დედოფლისწყაროს №2
8) ლანა მენთეშაშვილი - დედოფლისწყაროს №2
9) ანასტასია ჩუბინიძე - დედოფლისწყაროს №2
10) ნინო ყოჩიაშვილი - ზემო მაჩხაანის სკოლა
11) ნინო მარტყოფლიშვილი - ზ/მაჩხაანის სკოლა
12) ნიკოლოზ იაკობიშვილი - ზ/მაჩხაანის სკოლა
13) გიორგი მოსულიშვილი - ზ/მაჩხაანის სკოლა
14) მზია ბენაშვილი - სამრეკლოს სკოლა
15) გიორგი ტალიაშვილი - სამრეკლოს სკოლა
16) ნათია ჯანაშვილი - სამრეკლოს სკოლა
17) სალომე ჯოჯიკაშვილი - სამრეკლოს სკოლა
18) თამუნა პოპიაშვილი - ხორნაბუჯის სკოლა
19) ანა ფიროსმანაშვილი - ხორნაბუჯის სკოლა
20) მარიამ ბიკაშვილი - ხორნაბუჯის სკოლა
21) ნატალი მეხრიშვილი - ხორნაბუჯის სკოლა
22) ბაჩანა ხარხელაური - ქვ/ქედის სკოლა
23) ნინი ჩოქური - ზემო ქედის №2 სკოლა
24) ნინი კობაიძე - ზემო ქედის №2 სკოლა
25) შოთა ილურიძე - ზემო ქედის №2 სკოლა
26) ლია ბენაშვილი - არხილოსკალოს სკოლა
27) საბა კაპანაძე - არხილოსკალოს სკოლა
28) ნიკა ბაბაშვილი - არხილოსკალოს სკოლა
29) ტატო ზაქაიძე - არხილოსკალოს სკოლა
30) გიორგი ალულიშვილი - საპატრიარქოს სკოლა

### ვერცხლი:

1)სოფიკო ხუციშვილი - ქვემო ქედის სკოლა
2)მარიამ ხაჩიძე - ზემო ქედის №1
3)ანასტასია იაკობიშვილი - საპატრიარქოს სკოლა
4)მარიამ იაკობიშვილი - საპატრიარქოს სკოლა
5)თებრონია ლომსაძე - საპატრიარქოს სკოლა
6)ლალი უთრუთაშვილი - საპატრიარქოს სკოლა
7)ნინო შეითნიშვილი - საპატრიარქოს სკოლა

მოამზადა
**ელზა ხარაშვილმა**

# რა არის დეპრესია და როგორ ვებრძოლოთ მას

ყოველ ადამიანს სურს, იყოს ბედნიერი, მხიარული, შეხვდეს თითოეულ ახალ დღეს ღიმილით. მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვერ ვინარჩუნებთ კარგ განწყობილებას. ძალიან ხშირად ამის მიზეზია დაავადება, რომელსაც დეპრესია ეწოდება. დეპრესია- არ არის სინონიმი „ დათრგუნვის“ ან „ნებისყოფის სისუსტის“. ეს არის ადამიანის ისეთი მდგომარეობა, რომელიც ავადმყოფობად ითვლება. იგი დაკავშირებულია ორგანიზმში ბიოქიმიური პროცესების დარღვევასთან. კერძოდ, დეპრესიის დროს ადამიანის ტვინის უჯრედებში მცირდება ნეირომედიატორის-სეროტონინის შემცველობა, რომლის მეშვეობითაც ნერვული უჯრედები ცვლიან იმპულსებს.

თუ თქვენ დიდი ხანია, არ გაგიღიმიათ, იმიტომ რომ „სასაცილო არაფერია“, რომ „ცხოვრება მძიმეა“, შეჩერდით და ჩაფიქრდით. სტაბილური პესიმიზმი შეიძლება ორგანიზმში ბიოქიმიური პროცესების დარღვევის ნიშანია.

დეპრესიის გამომწვევი მიზეზი მრავალია:

1)სტრესი (ძლიერი გადაღლა, ფინანსური სიძნელეები, პრობლემები პირად ცხოვრებაში და სხვა)

2) ცივი სეზონის დადგომა, რასაც ახლავს დღის ხანგრძლივობის შემოკლება.

3) ციკლური ცვლილები ქალის ორგანიზმში (შემთხვევითი არ არის, რომ ეს დაავადება ქალებში რვაჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე მამაკაცებში);

ძალიან ხშირად დეპრესია შეიძლება გამოვლინდეს: 1) უგუნებობით, 2.თავის ტკივილით, 3) სახსრების ტკივილით, 4) ზურგის, გულის არეში არასასიამოვნო შეგრძნებებით, 5) გულისცემის გახშირებით, 6) არტერიული წნევის ცვლილებებით (მომატებით ან დაკლებით); 7) კუჭნაწლავის ტრაქტის ფუნქციის დარღვევით, ასეთ დეპრესიას ეწოდება „შენიღბული დეპრესია“, ასეთ შემთხვევაში წლები გადის ამა თუ იმ ქრონიკული დაავადების უნაყოფო მკურნალობაში, მიზეზი კი სულ სხვაა- დეპრესია .

დეპრესიის გამოვლინება სხვადასხვაგვარია. დღეისათვის, სამწუხაროდ, მხოლოდ მესამედი შემთხვევების ამოცნობა ხერხდება, მაგრამ დეპრესიის ნებისმიერი ფორმისათვის დამახასიათებელია მდგრადი ცუდი განწყობილება, რომელიც ორ კვირაზე მეტხანს გრძელდება, ამიტომ საშინაო დიაგნოსტიკისთვის შეიძლება მარტივი ტესტი გამოვიყენოთ. დააკვირდით, ხომ არ შეიმჩნევა თქვენში ან თქვენს ახლობლებში შემდეგი ნიშნები.

ძირითადი:

**1. დაქვეითებული ან მწუხარე განწყობილება;**

**2. ინტერესების, სიამოვნების მიღების სურვილის დაკარგვა;**

**3. მომატებული გადაღლილობა.**

**დამატებითი:**

**1. ყურადღების კონცენტრაციისა და ათვისების უნარის დაქვეითება;**

**2. საკუთარ თავში დაურწმუნებლობა და საკუთარი თავის დაბალი შეფასება;**

**3. დანაშაულის გრძნობა;**

**4. მომავლის პესიმისტური ხედვა;**

**5. სუიციდური აზრები და მოქმედებები;**

**6. ძილის დარღვევა;**

**7. მადის დარღვევა.**

მძიმე დეპრესიის დროს შეინიშნება სამი ძირითადი და ოთხი დამატებითი ნიშნის არსებობა, საშუალო სიმძიმის დეპრესიის დროს-ორი ძირითადი და სამი დამატებითი ნიშნის, ხოლო მსუმბუქი დეპრესიის დროს- ორი ძირითადი და ორი დამატებითი.

დეპრესიით შეპყრობილი ადამიანი თითქმის მოჯადოებულ წრეში ექცევა. არ აქვს რა ძალა და სურვილი, გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა, ამით იგი უფრო აუარესებს მას.

ზოგჯერ დეპრესიის მიზეზი ადამიანის გენეტიკური მიდრეკილებაც ხდება. ამიტომ ამ დაავადებისადმი მიდრეკილ ადამიანებში დეპრესია არაერთხელ გამოვლინდება.

**როგორ გავუმკლავდეთ დეპრესიას?**

დეპრესიასთან ბრძოლა მხოლოდ კომპლექსური ღონისძიებებით შეიძლება, რომლებიც მოიცავს როგორც ცხოვრების წესის და კვების რაციონის შეცვლას, აგრეთვე სპეციალური პრეპარატების მიღებას.

დეპრესიით დაავადებულებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ დიდხანს იყვნენ სუფთა ჰაერზე, გაზარდონ ფიზიკური დატვირთვა. კვების რაციონში უნდა შემცირდეს ცხიმების რაოდენობა და გაიზარდოს ნახშირწყლების რიცხვი, აუცილებელია როგორც „სწრაფი“ ნახშირწყლები (შაქარი), რომლებიც ამორჩევითად მოქმედებენ სეროტონინზე, ასევე: „შენელებული“ ნახშირწყლები (უჯრედისი).

დეპრესიის დროს უნდა ვიზრუნოთ იმაზეც, რომ ავადმყოფმა მიიღოს საკმაო რაოდენობითი „ბ“ ჯგუფის ვიტამინოკომპლექსი და ფოლიუმის მჟავა. ეს ნივთიერებები მარეგულირებელ მოქმედებას ახდენენ ცვლით პროცესებზე ორგანიზმში, კერძოდ, ნერვული უჯრედების სიცოცხლისუნარიანობაზე. ძირითადი წყარო ბ ჯგუფის ვიტამინებისა არის მარცვლეული და შავი პური. ავადმყოფები საჭიროებენ ანტიდეპრესანტულ პრეპარატებს. ამ ჯგუფის პრეპარატები ხშირად მათაც სჭირდებათ, ვისაც გახდომა სურს ან უნდა წინამენსტრუალური სინდრომის გამოვლინებების შემცირება.

ანტიდეპრესანტები იყოფა 2 ჯგუფად: სინთეტიკური და ბუნებრივი. ყველაზე მოქმედი ბუნებრივი ანტიდეპრესანტია კრაზანას ნაყენი. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც შედიან ექსტრატის შემადგენლობაში, აწესრიგებენ სეროტონინის გამომუშავებას.

**ბესიკ გიგოლაშვილი,**
ფსიქოლოგი

# რაგბში გარდამავალი თასი გამარჯვების სკოლამ მოიპოვა

*11 ივნისს, ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გარდამავალი თასის გათამაშება სასკოლო რაგბიში. ტურნირში მონაწილეობდნენ სოფლების: გამარჯვებისა და ხორნაბუჯის საჯარო სკოლებისა და წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის გუნდები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ გამარჯვებისა და ხორნაბუჯის საჯარო სკოლის გუნდები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ, პირველი ადგილზე გავიდა სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის გუნდი. რაგბის გარდამავალი თასი გამარჯვების საჯარო სკოლაში 1 წელი დარჩება, შემდეგ კი მის დასაუფლებლად მორიგი ბრძოლა შედგება.*



**იოსებ შიოლაშვილი** ***(რაგბის ინსტრუქტორი):*** „რამდენიმე კვირის წინ ჩავატარეთ სასკოლო რაგბის ფესტივალი. მოგეხსენებათ, ფესტივალზე გამარჯვებულის გამოვლენა არ ხდება. ამდენად, იქ გამოჩენილი აქტიურობის შემდეგ გადაწყდა თასის გათამაშება ჩაგვეტარებინა, აქტიური გუნდები კიდევ ერთხელ წაგვეხალისებინა და მათ შორის საუკეთესო დასახელებულიყო. სამინისტროს მხრიდან არ იყო დამატებითი გათამაშების მოთხოვნა, მაგრამ გადავწყვიტეთ რაიონული გარდამავალი თასი დაწესდეს, რომელიც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდება. ზოგადად, სასკოლო რაგბის განვითარების პროექტ „ჩაერთე რაგბიში“ დედოფლისწყაროდან 5 სკოლა მონაწილეობს. თავდაპირველად სამი სკოლა ჩაერთო, შემდეგ კიდევ ორი მსურველი დაგვემატა. სკოლები მათი სურვილისა და სასკოლო ინფრასტუქტურის მიხედვით შეირჩა, მათი ინსტრუქტორი ვარ და შევდივარ ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და №2 საჯარო სკოლებში, ასევე ხორნაბუჯისა და გამარჯვების საჯარო და საპატრიარქოს სკოლაში. ადგილზე სპორტის მასწავლებლებთან ერთად ვატარებთ კვირაში ერთ გაკვეთილს. ვამზადებ მასწავლებლებსაც და ერთობლივად ვასწავლით სპორტის ამ სახეობას. ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა გამოგვეთიშა, რადგან შენობის დაშლის გამო გაკვეთილს ველარ ვატარებთ, სხვა სკოლის შენობაში მეორე ცვლაში მუშაობენ და არ ხერხდება. თუმცა, მათ შენარჩუნებული აქვთ მონაწილეობის უფლება. ამჯერად ქალაქის პირველი და მეორე სკოლის გუნდები სუსტად გამოვიდნენ, ბოლო ხანს კარგი შედეგი ჰქონდათ და საკმაოდ იაქტიურა ჩამოთვლილმა სამმა სკოლამ, რომელთა შორის გარდამავალი თასი გათამაშდა. გოგონები და ბიჭები ერთ, შერეულ გუნდში თამაშობენ, რადგან მოგეხსენებათ, ეს სასკოლო რაგბია და სპორტის გაკვეთილი ტარდება კლასებში, ამიტომ ერთობლივი გუნდი დგება. გარდამავალი თასის ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სოფელ გამარჯვებისა და ხორნაბუჯის სკოლები, ორივემ საინტერესო თამაში აჩვენა, საბოლოოდ კი სოფელ გამარჯვების სკოლის გუნდმა გაიმარჯვა და გარდამავალი თასი მოიპოვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში სხვა სკოლებთან შედარებით რაგბიში ყველაზე კარგად მომზადებულები სწორედ ისინი არიან. ყველაზე კარგი გაკვეთილები გამარჯვების სკოლაში ტარდება, მოწესრიგებული ბავშვები არიან, მასწავლებელიც აქტიური ჰყავთ, ჩემს გარეშეც ატარებენ გაკვეთილებს, როგორც ჩანს კარგად აითვისეს და შედეგმაც არ დააყოვნა. ერთი წელი თასი მათთან დარჩება და ყოველი წლის ივნისში შედგება გარდამავალი თასის ფინალი და გავიგებთ სად წავა ეს ჯილდო“.

**ნონა ჯიმშიტაშვილი** ***(გამარჯვების სკოლის სპორტის პედაგოგი):*** „19 მაისს, როდესაც ფესტივალზე შეგვარჩიეს, მე და ჩემმა მოსწავლეებმა, იმ დღესვე მიზნად დავისახეთ, რომ გარდამავალი თასისთვის გვებრძოლა და მთელი ძალისხმევა ჩაგვედო. სამ საუკეთესო გუნდში მოვხვდით და ეს იყო დიდი შესაძლებლობა. საბედნიეროდ, ყველა თამაში მოვიგეთ, ამაში გვეხმარებოდა ჩვენს სკოლაზე მომაგრებული რაგბის ინსტრუქტორი იოსებ შიოლაშვილი. კვირაში ერთი დღე მასთან ერთად გვქონდა თამაშები. საკმაოდ მიზანდასახულები და ერთ გუნდად შეკრულები ვიბრძოდით ამ თასისთვის. ამიტომ, ეს გამარჯვება დიდი შრომის, თავდადების და ბრძოლის შედეგია. როგორც იტყვიან, ფენიქსივით ფერფლიდან აღვსდექით, რაც ჩემი შრომის და ჩვენი გულშემატკივრების მხარდაჭერის დამსახურებაა. და მაინც ვიტყოდი, რომ ყველაზე დიდი წვლილი ამ გამარჯვებაში ჩვენს ერთ მუშტად შეკრულ გუნდს მიუძღვის“.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მალხაზ მერაბიშვილმა პატარა მორაგბეებს გამარჯვება მიულოცა და პირველ ადგილზე გასულ გუნდს გარდამავალი თასი გადასცა. ა.(ა).ი.პ. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა დოდო ხუნაშვილმა მიულოცა ბავშვებს გამარჯვება და ღონისძიებაში მონაწილეებს და მათ პედაგოგებს გადასცა სიგელები. რაგბის მწრთვნელმა და ღონისძიების ორგანიზატორმა იოსებ შიოლაშვილმა ჩართულ მხარეებს მადლობა გადაუხადა მონაწილეობისთვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრს კი მხარდაჭერისთვის და საჩუქრად რაგბის ბურთი გადასცა.

***ილია მარტყოფლიშვილი***

# საქართველოს პირველობა ხრიდოლის სამჭიდში

1-2 ივნისს ქალაქ რუსთავში ჩატარდა საქართველოს პირველობა ხრიდოლის სამჭიდში (ხრიდოლის აკადემიის პრეზიდენტი ნუკრი მჭედლიშვილი, ხრიდოლის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ავსაჯანაშვილი, შეჯიბრის ორგანიზატორი შალვა ზამთარაძე). შეჯიბრში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროელი სპორტსმენები. პირველი ადგილები დაიკავეს: საბა ხუმარაშვილმა( 80 კგ); გიორგი მაძღარაშვილმა (50 კგ);ზურა ძნელაშვილმა (39 კგ); ვიტალი ცისკაძემ (47 კგ); ლევანი რობიტაშვილმა (35 კგ). მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ: ნიკა ჯაბაშვილი (70 კგ);ნიკა გოგაშვილი (37 კგ). მესამე ადგილზე გავიდნენ : გოჩა ჩუთლაშვილი (62 კგ); რატი დაუთაშვილი (35 კგ). მათ შორის ორ წონით კატეგორიაში მიიღეს მონაწილეობა და გახდნენ ჩემპიონები- ნიკა ჯაბაშვილი(73 კგ), გოჩა ჩუთლაშვილი (65 კგ), რატი დაუთაშვილი (38 კგ ).

სპორტული კლუბის „ზაქები“ მწვრთნელია გენადი ნატროშვილი.



# ,,ოთხი ძვირფასი გაზაფხული...“

*/დასაწყისი გვ. 3/*

ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ამ სითბოსა და სიყვარულისთვის. დიდი მადლობა ნათელა მასწავლებელს ასეთი ლამაზი ღონისძიებისთვის.

მადლობა თქვენ მშობლებო, ჩვენი გვერდში დგომისთვის. ისევ და ისევ გლოცავთ. მეც ისეთივე ემოციებში ვარ, როგორც თქვენ ყველა. ვისურვებდი, ყველა მასწავლებელი ასე გიყვარდეთ, როგორც თქვენი ნათელა მასწავლებელი გიყვართ. უამრავ წარმატებას გისურვებთ“.

ღონისძიების დასასრულს სამადლობელი სიტყვით კლასის დამრიგებელს მშობლებმა მედეა გოდერძიშვილმა, ნანუკა გურაშვილმა და სოფო ხარაშვილმა მიმართეს. თითოეული სიტყვა ცრემლებით, მადლიერებითა და სიყვარულით იყო სავსე. თითოეულმა მათგანმა მადლობა გადაუხადა ნათელა ჩიტიშვილს სითბოსა და სიყვარულისთვის. იმ ზრუნვისთვის, რომელსაც მთელი ამ წლების განმავლობაში ის ბავშვების მიმართ იჩენდა. იმ ოთხი წლისთვის, რომლის განმავლობაშიც მათი შვილებისთვის „ხელი ჰქონდა ჩაკიდებული და მშობლიური ზრუნვა არ მოუკლია“.

***ღონისძიება სავსე იყო სიხარულისა თუ სევდის ცრემლებით, დამშვიდობებით გამოწვეული მწუხარებითა თუ მომავლის იმედით. იშვიათად მინახავს ღონისძიება, სადაც თითისტოლა ბავშვები ამდენ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავდნენ საკუთარი მასწავლებლის მიმართ, გულამომჯდრები ემშვიდობებოდნენ მას და ენანებოდეთ ჩაკიდებული ხელის გაშვება. ვფიქრობ, სწორედ ასეთი თაობა - მასწავლებლის შრომის დამფასებელი, მზრუნველი, სითბოსა და სიყვარულის გამომხატველი თაობა იქნება ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის გარანტი, თაობა, რომელიც იტყვის: „შენთვის ვიზრდები საქართველო, რაც გინდა მთხოვე...“.***

**ქუქუნა ყანჩაშვილი**

# მარიამ არაბულის „სიცოცხლის ფერები“

***14 ივნისს, დედოფლისწყაროს ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, მხატვარ მარიამ არაბულის პერსონალური გამოფენა „სიცოცხლის ფერები“ გაიმართა. გამოფენა ხელოვნების პედაგოგის, რუსუდან კიკილაშვილის, მხარდაჭერითა და ორგანიზებით შედგა. გამოფენას კულტურის სფეროსა და ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები, მხატვრის გულშემატკივრები და რიგითი დამთვალიერებლები ესწრებოდნენ.***

**მარიამ არაბული, მხატვარი:** „მხატვრობასთან ბავშვობიდან ვარ წილნაყარი. პატარა ასაკიდანვე გამიტაცა ხელოვნებამ და ხატვა დავიწყე. ამ გამოფენაზე რამდენიმე წლის ნამუშევრები მაქვს წარმოდგენილი.ისინი შექმნილია 2015 წლიდან დღემდე. კიდევ მინდოდა გამომეტანა სხვა ნამუშევრებიც, მაგრამ დროში ვერ ჩავეტიე. ვგეგმავ, შემდეგი გამოფენა უფრო მრავალფეროვანი და მეტყველი იყოს. 5 წელი ვსწავლობდი დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლაში. სკოლაში გატარებულმა წლებმა, უფრო მეტად შემიწყო ხელი წარმოსახვისა და ტექნიკის დახვეწაში, მეტად განვვითარდი. გამოფენა „სიცოცხლის ფერები“ 10 ნახატს აერთიანებს, რომელიც ძირითადად თავისუფალ სტილშია შესრულებული. შეიძლება ყველა ხაზი სიმეტრიულად ზუსტად არ არის დაბალანსებული, მაგრამ ყველა ნახატს თავისი შინაარსი, ისტორია აქვს და განსხვავდება ერთმანეთისგან. ხელოვნებაც ხომ ჩარჩოებს გარეთაა. ვცდილობ, ჩემი ნახატები ფერებით იყოს დახუნძლული. ყველა ფერი თავისებურად მომწონს. ამ გამოფენის მომზადება შევძელით ქალბატონი რუსუდან კიკილაშვილის დახმარებით, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მას. ბოლომდე გვერდში მედგა. მადლობა თქვენც დაინტერესებისთვის“.

**რუსუდან კიკილაშვილი, გამოფენის ორგანიზატორი:** „დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ახალგაზრდა მხატვრის, მარიამ არაბულის პირველ პერსონალურ გამოფენაზე. მარიამი დაიბადა და გაიზარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში. სწავლობდა პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის გამარჯვების საჯარო სკოლაში. ის 11 წლის ასაკიდან ხატავს. დაამთავრა დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლა და მას შემდეგ ძალიან იტაცებს ეს საქმე. მარიამის შვილებს ძალიან უყვართ, როდესაც დედას ხატვის პროცესში ხედავენ. ხშირად ერთად ხატავენ და საინტერესოდ ატარებენ დროს. მარიამმა ეს გამოფენაც საკუთარ შვილებს მიუძღვნა. როგორც თავად იხსენებს, პირველ კლასში დახატა იები, რომელიც მისი პირველი ნამუშევარი იყო. მარიამის პერსონალური გამოფენის იდეა კი, გამიჩინა სკოლაში გამართულმა ნახატების გამოფენამ, სადაც მარიამის რამდენიმე ნამუშევარი იყო გამოტანილი. ნახატები იმდენად მომეწონა, რომ მარიამის



ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა გადავწყვიტე. მას განსაკუთრებული ხედვა აქვს, მისი არცერთი ნახატი არ ჰგავს ერთმანეთს, გამოფენიც სახელიც „სიცოცხლის ფერები“თავად შეარჩია. ვფიქრობ, მისი ნამუშევრების გამოფენა სტიმული იქნება ახალგაზრდა ხელოვანისთვის“.

**დოდო ხუნაშვილი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის უფროსი:** „მარიამის ნამუშევრები დღეს პირველად ვნახე. პირადადაც დღეს გავიცანი. აღფრთოვანებული ვარ. მარიამი 26 წლისაა, ასაკთან შედარებით, ალბათ, მცირე რაოდენობითაა ნამუშევრები წარმოდგენილი, მაგრამ, ვფიქრობ, ეს დასაწყისია. ახალგაზრდა მხატვარს ვუსურვებ დღევანდელი შევხედრა და გამოფენა ყოფილიყოს იმ დიდი კარიერის დასაწყისი, რომელზეც ოცნებობს. მე როგორც კულტურის ხელმძღვანელი ვეცდები, ყველანაირად ხელი შევუწყო თავისი შემოქმედებით დაიპყროს დიდი მწვერვალები და გაუთანაბრდეს იმ დიდ მხატვრებს, რომლებიც დღეს ასე გვხიბლავენ და მისაღებია ნებისმიერი ჩვენთაგანისთვის. შავ ფონზე შექმნილი მარიამის ნამუშევრები მართლაც საოცარია და გამორჩეულია. ძალიან რთულია შეუთავსო დედობა და ხელოვნება ერთმანეთს და როგორც სჩანს, ეს მარიამს ძალიან კარგად გამოგდის. მინდა წარმატებები ვუსურვო მას“.

მარიამ არაბულის შავ ფონზე შესრულებული, გამორჩეული და განსხვავებული ნამუშევრები უჩვეულო ემოციებს იწვევს დამთვალიერებელში. ფერთა შეხამება და ნახატებში ჩადებული იდეა, გონების თვალით ანახებს მისულ სტუმარს და საკუთარი წარმოსახვის კარს ფართოდ უხსნის.

***გაზეთი „შირაქი“ მადლობას უხდის ორგანიზატორებს სასიამოვნო ღონისძიების ჩატარებისთვის, ხოლო ახალგაზრდა შემოქმედს, წარმატებას, უშრეტ მუზასა და შემოქმედებით წინსვლას უსურვებს.***

**ქუქუნა ყანჩაშვილი**
**ხათუნა ბენაშვილი**

# „ნეოლაბი“ — გიწვევთ!

**კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალში შეგიძლიათ გაიაროთ კონსულტაციები თბილისიდან მოწვეულ სპეციალისტებთან.**

კარდიოლოგის, ექოსკოპისტის და გასტროენტეროლოგის ვიზიტები კლინიკა „ნეოლაბში“ ყოველთვიურად ხორციელდება.

**21 ივნისი – ბადრი ზამბახიძე, კარდიოლოგი**
**22 ივნისი – ექოსკოპისტი, გასტროენტეროლოგი**

კონსულტაცია ფასიანია

*ჩაწერისთვის უნდა დაგვიკავშირდეთ კლინიკის ნომერზე:*

**0 (356) 20 00 85** ან **596 39 20 00.**

*კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალი მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. №57.*













## კონკურსი ,,ვაჟა-ფშაველა- მთის არწივი“ ჩატარდა





მიმდინარე წლის 7 ივნისს,ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის მიმდებარე სკვერში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინიციატივითა და ა.(ა).ი.პ.კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით, კონკურსი „ვაჟა -ფშაველა - მთის არწივი“ გაიმართა.

კონკურსში მონაწილეობდნენ ქ.დედოფლისწყაროს N1, N2, სოფ.ხორნაბუჯის საჯარო სკოლებისა და მეფე ვახტანგ გორგასლის სახ.სკოლა- ინტერნატის მოსწავლეები.კონკურსი გაიმართა ორ ნომინაციაში : ხატვასა და მხატვრულ კითხვაში.

შერჩეულმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები.

მხატვრულ კითხვაში პირველი ადგილი დაიკავა ელენე თეთრაულმა. (მეფე ვახტანგ გორგასლის სახ სკოლა-ინტერნატის მოსწავლე).

მეორე ადგილზე გავიდა ქ.დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ კაკალაშვილი.

მესამე ადგილზე- სოფელ ხორნაბუჯის მოსწავლე ჯემალ ქეთელაური.

მხატვრულ კითხვაში ჟიურის რჩეული გახდა სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი ჭუჭულაშვილი.

საკუთარი ლექსი წაიკითხა ქ.დედოფლისწყაროს N 1 საჯარო სკოლის მოსწავლემ ნატალია ჩარგეიშვილმა.

მხატვრულ კითვაში გამოვლინდნენ ყველაზე პატარა მონაწილეები-ლილე კახიძე და გეგა გურასპაული.

ხატვაში საპრიზო ადგილები დაიკავეს:

პირველი ადგილი- ნინო ნატროშვილმა. (მეფე ვახტსნგ გორგასლის სახ სკოლა-ინტერნატი).

მეორე ადგილი - ელენე კოხტაშვილმა (ქ.დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა).

მესამე ადგილი - ლიკა ჯინაშვილმა ( სოფ.ხორნაბუკის საჯარო სკოლა).

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რჩეული გახდა დუდჩენკო ლანა.( სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლა).

ღონისძიება მხატვრულად გააფორმა და საუკეთესო სიმღერისთვის გადაეცა სიგელები მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწვლეებს.( ხელმძღვანელი გოდერძი აბულაშვილი)

საპრიზო ადგილზე გასულ ბავშვებს, ცენტრის დირექტორმა დოდო ხუნაშვილმა და მოადგილე გაგა პატაშურმა გადასცა ფასიანი საჩუქრები და სიგელები.

ყველა მონაწილეს კი, გადაეცა სიგელები და მადლობის ბარათები კონკურსში აქტიური მონაწილეობისთვის.







## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 17.06 | | სამშაბათი 18.06 | | ოთხშაბათი 19.06 | | ხუთშაბათი 20.06 | | პარასკევი 21.06 | | შაბათი 22.06 | | კვირა 23.06 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 30° | 18° | 30° | 18° | 30° | 18° | 29° | 17° | 27° | 16° | 26° | 16° | 26° | 17° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუჩუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
**გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი**